მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი (შვატი) 1-15 №2 (360) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲔᲚᲩᲘ — ᲐᲠᲩᲘᲚ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ

ჩვენი კორესპონდენტი ისრაელში გამგზავრების წინა დღეს შეხვდა ბატონ არჩილ კეკელიას და სამიოდე კითხვით მიმართა მას.

— ბატონო არჩილ, გვიამბეთ თქვენს შესახებ...

— ვარ 32 წლის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ერთი წლის მანძილზე გაცვლითი პროგრამით უცხოეთში ვსწავლობდი. შემდეგ კი ინგლისში — ძალიან მაღალი დონის ბიზნესის სკოლაში. რამდენიმე თვე ინგლისის საინვესტიციო ბანკში ვმუშაობდი, შემდეგ კი საქართველოში დავბრუნდი და ეკონომიკის მინისტრის პირველ მოადგილედ დავინიშნე. ყოველთვის მინდოდა, რომ ჩემი სამშობლოს სამსახურში ვყოფილიყავი.

— ბატონო არჩილ, აქამდე თუ გქონდათ ურთიერთობა ებრაულ სამყაროსთან, ისრაელთან?

— ბევრი ებრაელი მეგობარი მყავს. ჩემი ბებია — დედის მხრიდან ებრაელი — გვარად გერშევიჩია, ფაქტიურად მისი გაზრდილი ვარ. ყმაწვილობისას „სოხნუთის“ პროგრამით ისრაელში უნდა წავსულიყავი, მაგრამ მერე უკეთესი — აშშ ვარიანტი არჩიეს ჩემმა მშობლებმა. სამწუხაროდ, ისრაელში ნამყოფი არ ვარ. ყოველთვის მინდოდა ამ ქვეყანას ტურისტის სტატუსით ვწვეოდი, თუმცა, ისე მოხდა, რომ ელჩის სტატუსით ჩავალ. ელჩის თანამდებობა ჩემთვის ძალიან საინტერესოა, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში როგორიც ისრაელია. მქონდა რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ მე ისრაელი ავირჩიე. ქართველ და ებრაელ ერს ძალიან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. ვეცდები ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გავაღრმავო.

— რა იქნება თქვენი პრიორიტეტი?

— პრიორიტეტული იქნება ბიზნესი, ტურიზმის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება, თავისუფალი ვაჭრობა. საქართველოს მოქალაქეებისათვის ისრაელში უვიზო რეჟიმის შემოღება და სხვა.

— დღეიდან თქვენი ცხოვრების ძალიან სერიოზულ ეტაპს იწყებთ. „მენორა“ გისურვებთ წარმატებას ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲔᲡ

22 იანვარს სამი წელი შესრულდა, რაც ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი გაათავისუფლეს რუსეთის ციხიდან, სადაც მან რვა წელი გაატარა თითქოსდა ორი ქართველი ემიგრანტის გატაცების გამო, რომელთაც უფრო ადრე მისი მამა გაიტაცეს. 19 იანვარს, მირილაშვილმა ეს საეტაპო თარიღი იერუსალიმში გოდების კედელთან აღნიშნა. სადღესასწაულო ღონისძიებაში მთავრობის წევრებმა და ცნობილმა რაბინებმა მიიღეს მონაწილეობა.

როგორც პორტალ „IzRus“–ს რაბინმა — შმუელ რაბინოვიჩმა შეატყობინა, რომელსაც აღნიშნული ღონისძიება მიჰყავდა, თვალსაჩინო სტუმრებს შორის გამოირჩეოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთაური და პარტია „შასის“ თავმჯდომარე ელი იშაი, მშენებლობის მინისტრი — არიელ ატიასი, მინისტრი დიასპორისა და პროპაგანდის საკითხებში — იული ედელშტეინი, პარტია „შასის“ ყოფილი თავმჯდომარე და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი — არიე დერი, მთავარი რაბინი იონა მეცგერი. სასულიერო მოღვაწემ დალოცა დღის გმირი, რომელიც ისრაელში დაბრუნების მომენტიდან სხვადასხვა რელიგიური პროექტების სპონსორი გახლავთ.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მირილაშვილი რუსეთის ებრაული კონგრესის პეტერბურგის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში, თუმცა, მალე ისრაელში დაბრუნდა. 2010 წლის თებერვალში იგი „ზაკას“ — ისრაელის მოხალისე ორგანიზაციის, რომელიც ტერაქტებში, ავარიებში და ბუნებრივ კატაკლიზმებში დაზარალებულთა მოძიებასა და გადარჩენას ემსახურება, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. იმავე წლის აპრილში მიხეილ მირილაშვილმა და მისმა ძმამ — გაბრიელმა გოდების კედლის სინაგოგას გარდაცვლილი მამის ხსოვნის პატივსაცემად სამი სეფერ თორა აჩუქეს.

ამას გარდა, პოსტსაბჭოთა მასშტაბით იგი „ხაბადის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპონსორი გახლავთ. მისი წვლილი ყოფილ საბჭოთა კავშირში ებრაული რელიგიური ცხოვრების განვითარებისათვის გასულ წელს თელ-ავივში ჩატარებულ კონფერენციაზე მთავრობის მეთაურის — ბინიამინ ნეთანიაჰუს მიერ განსაკუთრებულად აღინიშნა.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ

როგორც ისრაელის მეშვიდე არხი იტყობინება, აშშ-ს ებრაული სათემოების წარმომადგენლებთან, რომლებიც ბარაქ ობამას წინასაარჩევნო კამპანიის პოტენციური სპონსორები არიან, შეხვედრაზე გამოსულმა ბარაქ ჰუსეინ ობამამ განაცხადა: „ისრაელის უსაფრთხოება — ყველაზე მნიშვნელოვანია“. „პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ, მოლაპარაკებებზე ისრაელის უსაფრთხოების დაცვის გარეშე არანაირი პროგრესი არ შეიძლება იყოს მიღწეული“, — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა ობამამ. მხოლოდ ამ ერთ შეხვედრაზე ობამას წინასაარჩევნო შტაბმა დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი შეაგროვა, — იტყობინება ამერიკული პრესა.

თავის გამოსვლაში პრეზიდენტი ობამა ირანის პრობლემებსაც შეეხო. „ნეთანიაჰუს ხელისუფლება და აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამ საკითხში უპრეცედენტო მასშტაბით თანამშრომლობენ. როდესაც ვაცხადებ, რომ არ დავუშვებ ირანის ბირთვულ შეიარაღებას, ჩემს ყოველ სიტყვაზე პასუხს ვაგებ“, — განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ. შეიძლება შემთხვევითია, მაგრამ სწორედ ამ დღეებში ისრაელში ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაური გენერალი — მარტინ დემპსი, რომელიც ისრაელელ კოლეგებთან ერთად განიხილავდა პრობლემების ფართო სპექტრს ორივე ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალურ საკითხებში.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ამერიკელი მილიარდერი შელდონ ედელსონი, რომელიც ნეთანიაჰუს მეგობრად და სპონსორად ითვლება, ობამას მეტოქეს — რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებში წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას დაპირდა. სავარაუდოდ, ეს კანდიდატი ნიუტ გინგრიჩი გახდება.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲓᲔᲛᲞᲡᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡ ᲔᲬᲕᲘᲐ

აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაური გენერალი მარტინ დემპსი „ცახალის“ გენშტაბის მეთაურს და ისრაელის თავდაცვის მინისტრს შეხვდა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მარტინ დემპსისა და ბენი განცის დიალოგის მთავარი თემა იყო ირანის პრობლემა და მოკავშირე ქვეყნების ჯარების შეთანხმებული მოქმედება საერთო საშიშროების წინააღმდეგ.

მარტინ დემპსი ისრაელში პირველად იმყოფებოდა. ბენ განცმა მას თბილი შეხვედრა მოუწყო, რომელიც მოიცავდა მეგობრულ სადილს სამხედრო მეთაურების მეუღლეებთან ერთად.

მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის დღე — 27 იანვარი მრავალ ქვეყანაში აღინიშნა

გაეროს გენერალური ასამბლეის დადგენილების საფუძველზე, ყოველწლიურად 27 იანვარს, მსოფლიო ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღეს საბჭოთა ჯარებმა ოსვენციმის (აუშვიც-ბირკენაუ) საკონცენტრაციო ბანაკიდან ტყვეები გაათავისუფლეს.

მონაცემები მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ებრაელობის შესახებ:

პოლონეთი
განადგურებულია 3 მილიონი ებრაელი
საბჭოთა კავშირი
განადგურებულია 1,2 მილიონი ებრაელი
ლიტვა
განადგურებულია 140 ათასი ებრაელი
ლატვია
განადგურებულია 70 ათასი ებრაელი
უნგრეთი
განადგურებულია 560 ათასი ებრაელი
რუმინეთი
განადგურებულია 280 ათასი ებრაელი
გერმანია
განადგურებულია 140 ათასი ებრაელი
ჰოლანდია
განადგურებულია 100 ათასი ებრაელი
საფრანგეთი
განადგურებულია 80 ათასი ებრაელი
ჩეხეთი
განადგურებულია 80 ათასი ებრაელი
სლოვაკეთი
განადგურებულია 70 ათასი ებრაელი
საბერძნეთი
განადგურებულია 65 ათასი ებრაელი
იუგოსლავია
განადგურებულია 60 ათასი ებრაელი
ბელორუსია
განადგურებულია 800 ათასზე მეტი ებრაელი

ნაცისტებმა ბალტიისპირეთს „ებრაელთაგან გაწმენდილი ზონა“ (Judenfreie Zone) უწოდეს. აქ ებრაელი მოსახლეობა ასი პროცენტით გაანადგურეს.

ნიუ-იორკი, ბაეჩო

25 იანვარს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში გამოცხადებულ იქნა ახალი საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის — მსოფლიო რუსულენოვან ებრაელთა ფორუმის (მრეფ) შექმნის შესახებ. ამის თაობაზე ებრაელმა მოღვაწემ, კიევის სათემოს ხელმძღვანელმა — ალექსანდრე ლევინმა, ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე განაცხადა. ახალი ორგანიზაციის მიზანი, რომელსაც თავად ლევინი უხელმძღვანელებს, იმაში მდგომარეობს, რომ „ითამაშოს ხიდის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, შეიმუშაოს ახალი გზები აშშ-ს, რუსეთსა და სხვა ქვეყნებთან დიალოგის საკითხში, რათა გავლენა მოახდინოს მათ საგარეო პოლიტიკაზე ირანულ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით“.

ღონისძიებას, რომელზეც „მრეფ“-ის შექმნა გამოცხადდა, 600-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ ჩრდილოეთ ამერიკის ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რუსულენოვანი ებრაული სათემოების ლიდერები მთელი მსოფლიოდან, დიპლომატები და ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი პატიმრები.

მემორიალური ცერემონია ორგანიზებული იყო რუსულენოვანი ებრაელობის ამერიკული ფორუმის მიერ გაეროში უკრაინისა და ისრაელის მუდმივი წარმომადგენლების მხარდაჭერით. ორივე მათგანმა — იური სერგეევმა და რონ პროსორმა — კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს. სტუმართა რიგებში ასევე იყვნენ ამერიკული ებრაული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი — დევიდ ჰარისი, კონფერენციის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი, აშშ-ს ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტი — მალკოლმ ჰონლაინი და სხვები. დამსწრეებს გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ — კიოტაკა აკასაკამაც მიმართა.

„დღეს დიდი პატივი მხვდა წილად განვაცხადო, რომ მთელი მსოფლიოს რუსულენოვანმა ებრაელებმა შექმნეს ახალი ორგანიზაცია — რუსულენოვანი ებრაელების მსოფლიო ფორუმი. ჩვენი ამოცანაა — რუსულად მოლაპარაკე ებრაელები მთელი პლანეტის მასშტაბით გავაერთიანოთ იმისთვის, რომ გადავარჩინოთ საკუთარი თავები და სხვა ერები კატასტროფისა და გენოციდისაგან, გავუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ სამშობლოს — ისრაელის სახელმწიფოს“, — განაცხადა ლევინმა. მან აღნიშნა, რომ „მრეფი“ წინ აღუდგება თანამედროვე ანტისემიტიზმს, ქსენოფობიას და ჰოლოკოსტის უარყოფას.

ბეიმანია, ბუნდესტაბი

გერმანიაში, ბუნდესტაგში ჩატარდა სპეციალური სხდომა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში განადგურებული ებრაელების ხსოვნას მიეძღვნა. ასეთ ღონისძიებებს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს გერმანული პარლამენტის ქვედა პალატა ყოველ წელს ატარებს.

როგორც ZMAN.com–ის კორესპონდენტმა — ალექსანდრ ჰავრონინმა გადმოსცა, ბუნდესტაგის სპეციალური სხდომა პიანისტმა იაშა ნემცოვმა გახსნა, რომელმაც ფრედერიკ შოპენის ნაწარმოები შეასრულა. ეს ნაწარმოები ჟღერდა რომან პოლანსკის ცნობილ ფილმში — „პიანისტი“ და ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის მუსიკალური სიმბოლო გახდა.

ბუნდესტაგის წარმომადგენელმა ჰორბერტ ლამერტმა თავის გამოსვლაში თქვა: „გერმანიაში ანტისემიტიზმის შესახებ კვლევის მიხედვით, რომელიც ბუნდესტაგის დავალებით შესრულდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 20 პროცენტი ფარული სახით ანტისემიტურ შეხედულებებს იზიარებს. ეს ზუსტად 20 პროცენტით მეტია იმაზე, რაც გერმანიაში უნდა იყოს“.

საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა გამოჩენილი გერმანელი ლიტერატურული კრიტიკოსი და პუბლიცისტი მარსელ რაიხ-რანიცკი, რომელიც თავადაც ჰოლოკოსტის მსხვერპლი გახლდათ.

ბრიუსელი, ევროპარლამენტი

24 იანვარს ბრიუსელში გაიმართა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საღამო. როგორც AEH იტყობინება, ღონისძიება, რომელიც საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ ოსვენციმში განლაგებული ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის აუშვიც-ბირკენაურს გათავისუფლების 67-ე წლისთავს მიეძღვნა, ევროპარლამენტის ახალი წარმომადგენლის — მარტინ შულცის ინიციატივით გაიმართა. მასზე ასევე იყო საუბარი ვანზეის კონფერენციის შესახებ, რომელზეც უმაღლესი ნაცისტი ავტორიტეტები „ებრაული საკითხის საბოლოოდ მოგვარებას“ განიხილავდნენ.

ევროპარლამენტის დეპუტატებმა ნაციზმის მსხვერპლთ — 6 მილიონი ებრაელის პატივსაცემად სამახსოვრო სანთლები აანთეს.

მემორიალურ საღამოში მონაწილეობა მიიღეს ევროპარლამენტის ყოფილმა წარმომადგენლებმა — ეჟი ბუზეკმა და ჰანს პოტერინგმა.

მოსკოვი

24 იანვარს ევრაზიული ებრაული კონგრესის წარმომადგენლებმა ეაეკ-ის გენერალური მდივნის — პროფესორ მიხეილ ჩლენოვის მეთაურობით მონაწილეობა მიიღეს სადღესასწაულო საღამოში, რომელიც ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს ეძღვნებოდა. საღამო, რომელიც ორგანიზებული იყო რუსეთში ისრაელის საელჩოსა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის და ფონდ „ჰოლოკოსტის“ მიერ, მოსკოვის კინოს სახლში გაიმართა. საღამო გახსნა რუსეთში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დორით გოლენდერმა. რუსეთის მთავარმა რაბინმა, ეაეკ-ის რაბინთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ — ადოლფ შაევიჩმა და მოსკოვის მთავარმა რაბინმა, ევროპელი რაბინების კონფერენციის პრეზიდენტმა, ეაეკ-ის რაბინების საბჭოს გენერალურმა მდივანმა — ფინჰას გოლდშმიტმა ლოცვა „იზკორი“ წარმოთქვეს.

რუსეთის მთავარმა რაბინმა — ბერლ ლაზარმა და რუსეთის ებრაული სათემოების ფედერაციის პრეზიდენტმა — ალექსანდრე ბოროდმა 83 წერილი წაიკითხეს. ღონისძიების მონაწილეებს მიმართეს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ — მიხეილ ბოგდანოვმა, ფონდ „ჰოლოკოსტის“ პრეზიდენტმა, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრმა — ალა გერბერმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰოლოკოსტის“ თავმჯდომარემ — ილია ალტმანმა. საღამო რუსეთის დამსახურებულ არტისტს — ბორის ლვოვს მიჰყადა.

ცნობილმა ისრაელელმა რეჟისორმა-კინოდოკუმენტალისტმა ნაციონალური ინსტიტუტის „იად ვაშემ“-ის პროექტის „იმენას“ ხელმძღვანელმა — ბორის მაფცირმა ისაუბრა ამ უნიკალურ პროექტზე, რომელიც კატასტროფის დროს დაკარგულთა სახელების მოძიებასა და შენახვას გულისხმობს. მან დამსწრეებს თავისი ახალი დოკუმენტური ფილმი — „დაკარგული ხსოვნის კვალდაკვალ“ წარუდგინა და ისაუბრა თუ როგორ მიმდინარეობს პროექტის განხორციელება — ტრაგიკული მოვლენების დამსწრეთა მოძებნა და საბუთების შემოწმება-შეგროვება.

ეაეკ-ის გენერალურმა მდივანმა პროფესორ მიხეილ ჩლენოვმა აღნიშნა — „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რუსეთში ისევე, როგორც, მთელ ცივილიზებულ სამყაროში, ოფიციალურად აღინიშნება ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე. მაგრამ, ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში ძალიან ბევრი ებრაელი დაიღუპა, იყო მასობრივი განადგურების ასობით ადგილი, შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეს კატასტროფის მსხვერპლთა ხსოვნის დღე სახელმწიფოებრივ დონეზე იყოს აღნიშნული, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. ეს ანტისემიტიზმისა და ქსენოფობიის მოსასპობად კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გახდებოდა“.

ბაქო

27 იანვარს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ბაქოში სამუზეუმო ცენტრში ღონისძიება გაიმართა.

აზერბაიჯანში ისრაელის ელჩმა — მიხეილ ლავონ-ლოტენმა აღნიშნა, რომ ყოველ წელს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე ერთ თემას ეძღვნება. წელს ეს თემაა — ბავშვები.

ფაშისტური იდეოლოგიის მსხვერპლი ათასობით ბავშვი გახდა. ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ, დაობლდნენ, დაკარგეს ოჯახები, იღუპებოდნენ შიმშილისა და დაავადებებისგან. სწორედ, ამიტომ, გაერო კვლავ ახსენებს მსოფლიოს ჰოლოკოსტის საშინელ გაკვეთილებს.

ებრაული სასწავლო კომპლექსის „ხაბად ორ ავნერ“ დირექტორი — სამედ ბაბალაროვი მოჰყვა თუ როგორ გაიხსნა აზერბაიჯანელი ერის ლიდერის — ჰეიდარ ალიევის მხარდაჭერით ბაქოში 2003 წელს ებრაული სკოლა.

ღონისძიების ბოლოს დამსწრეთა წინაშე საკონცერტო პროგრამით სკოლის „ხაბად ორ ავნერ“ მოსწავლეები წარსდგნენ.

ჩვენი საგანძურის თაობაზე

რუბრიკას უძღვება
ხელოვნებათმცოდნე
ლელა ფიფუაშვილი

დღეს რუბრიკაში „ჩვენი საგანძური“ წარმოგიდგენთ ცნობილი ქართველი მხატვრის დავით გველესიანის მიერ შესრულებულ შალომ კობოშვილის პორტრეტს, რომელიც დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციაში იყო და ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ებრაული მუზეუმის დაარსებისას, 1933 წელს საქართველოში არ იყო ცნობილი არც ერთი ებრაული წარმოშობის მხატვარი და საერთოდ არ არსებობდა ებრაულ თემატიკაზე შექმნილი სურათები.

მუზეუმის კოლექციის შესაგროვებლად 1933-1936 წლებში, ებრაელებით კომპაქტურად დასახელებულ რეგიონებში ეწყობოდა ეთნოგრაფიული ექსპედიციები და მიწვეული ქართველი მხატვრები ადგილზე აფიქსირებდნენ ებრაელთა ტიპაჟებს და მათი ყოფის ამსახველ დეტალებს. თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის (1876-1941) სახელი ათწლეულების მანძილზე მივიწყებული და უცნობი იყო არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც კი. მაშინ, 1937 წელს, როდესაც შალომ კობოშვილმა 61 წლის ასაკში, დუხჭირი ცხოვრების ბოლოსკენ, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დარაჯად დაიწყო მუშაობა, წარმოუდგენელი იყო თუ როგორ შემოატრიალებდა ბედის ბორბალი მის ცხოვრებას. მოკრძალებული და უბრალო დარაჯის სხეულში მიძინებული და თავის დროზე ჩახშული ნიჭი თვლემდა და თითქოს ელოდა აღმოცენების ჟამს. მუზეუმში მისვლისთანავე შალომი დიდი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს იქ მომუშავე მხატვრებს, რომლებიც პირველი გამოფენის გახსნისთვის ემზადებოდნენ და მუზეუმის ხელმძღვანელობის შეკვეთით ებრაულ თემატიკაზე ქმნიდნენ სურათებს. სწორედ მაშინ შალომმა პირველად აიღო ხელში ფანქარი და თავისივე მოულოდნელი შედეგით გაოგნებული, შეუდგა ახალ შემოქმედებით მოღვაწეობას. მისმა ცხოვრებამ ახალი შინაარსი შეიძინა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ასრულდა ბავშვობის ოცნება. ახლა უკვე თამამად შეიძლებოდა აკვარელში, გუაშსა და ზეთის საღებავებში ეცადა ბედი. ალბათ, გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ჩქარობდა დაკარგული დროის ანაზღაურებას, იგი ყალიბდება, ვითარდება და თავისებურ პროფესიონალიზმს იძენს. მისი ინტუიციის, თანდაყოლილი ნიჭის წყალობით ძალიან მოკლე ხანში (სამი წელი) კობოშვილის შემოქმედებამ საოცარი ევოლუცია განიცადა. მისი ნამუშევრების სახით ჩვენ გვაქვს უდიდესი და ძალზე საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა ქართველ ებრაელთა ყოფის, მათი ადათ-წესების, საცხოვრებელი ინტერიერის, ჩაცმულობის თუ ტიპების შესასწავლად. შალომ კობოშვილის ნახატებში თვალნათლივ წარმოგვიდგება ებრაელი ხალხის ყოფა ლხინსა თუ გასაჭირში, მათი ყოველდღიური ცხოვრება, მნიშვნელოვანი მოვლენები, დამახასიათებელი რიტუალები, ტრადიციები და რელიგიური დღესასწაულები. ზოგიერთი მათგანი დღეს უკვე აღარ სრულდება, ხოლო კობოშვილის ნამუშევართა მეოხებით შემოგვრჩა ებრაული სულის ბრწყინვალე მატიანე.



დავით გველესიანი. (1890-1949)
შალომ კობოშვილის პორტრეტი.
1940. ტილო, ზეთი. 70X101
© საქართველოს ეროვნული მუზეუმი

1940 წელს ებრაულ მუზეუმში შალომ კობოშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. სწორედ ამ პერიოდში დახატა შალომ კობოშვილის პორტრეტი დავით გველესიანმა.

ისტორია ასე იქმნებოდა...

სოსო აჯიაშვილი: ის რაც უნდა მოგიყვეთ, დასავლეთ საქართველოში კერძოდ, სოფელ ბანძაში 1911-1913 წლებში მოხდა. იმ ზამთარს ბანძისთვის ყოვლად უჩვეულო თოვლი მოვიდა. ბაბუები იგონებდნენ — ისეთი დიდი თოვლი იყო ძაღლები სახლების სახურავებზე დადიოდნენო. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება სასაცილოა, მაგრამ მაშინდელი სახლები ძალიან დაბალჭერიანი იყო და ესეც შეიძლებოდა მომხდარიყო. ასეთმა დიდმა თოვლმა, ჩაკეტა მდინარეების მოძრაობა, მაშინ ელექტროენერგია საქართველოში ნაკლებად იყო, წისქვილები წყლის ენერგიაზე მუშაობდნენ და შესაბამისად მათი მოქმედებაც შეწყდებოდა, რამაც მოსახლეობის არსებობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. მით უმეტეს, მაშინ დასავლეთ საქართველოში ხორბლის ფქვილი გავრცელებული არ იყო, უფრო სიმინდის ფქვილს ხმარობდნენ. რაკი წისქვილი არ მუშაობდა სიმინდის დაფქვაც შეუძლებელი იქნებოდა. ერთ-ერთი ჩემი წინაპარი — მანუახ აჯიაშვილი საკმაოდ ძლიერ პურის საცხობს ფლობდა და პურის გამოსაცხობად ფქვილის საკმაოდ დიდი მარაგიც გააჩნდა. როდესაც დილა გათენდა, როგორც ყველა მორწმუნე ებრაელი დილის წირვაზე დასასწრებად სინაგოგაში უნდა წასულიყო, თუმცა ნახა რა მდგომარეობაც იყო, მიმართულება შეიცვალა — ქრისტიანულ ეკლესიაში წავიდა. ბანძაში ქართველები და ებრაელები ერთი ოჯახივით ცხოვრობდნენ. ჩემი წინაპრის ქრისტიანულ ეკლესიაში მისვლამ ყველა ძალიან გააკვირვა, როდესაც მღვდელმსახურს მოახსენეს მანუახი გეახლათ და თქვენი ნახვა უნდაო, მან მაშინვე თავისთან მიიწვია და როგორც კულტურულ და ინტელიგენტ ადამიანებს სჩვევიათ, დიდი ღირსებით მიიღო. ერთმანეთი მოიკითხეს და მღვდელმსახურმა ჰკითხა თუ რა იყო მისი მისვლის მიზეზი. მანუახმა უპასუხა: საქმე იმაში გახლავთ, რომ სოფელი ცუდ მდგომარეობაშია, ძალიან ბევრ ოჯახს ფქვილის მარაგი არ გააჩნია. სანამ ასეთი მდგომარეობაა, გთხოვთ, რომ წირვის დროს, გამოაცხადოთ: მე მაქვს ფქვილის მარაგი და ყველას ჩემს პურის საცხობში ვეპატიჟები, არ აქვს მნიშვნელობა ფული აქვთ თუ არა, ყველას დავაკმაყოფილებ. ვისაც რით შეუძლია, იმით გადამიხადოს თუ არა და როდესაც საშუალება ექნებათ, მერე გავსწორდეთო.

ქართულ-ებრაულ ურთიერთობას მრავალი ნათელი ფურცელი ამშვენებს. ამ ფურცლებს, ფაქტიურად კი ისტორიას, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები — ქართველები და ებრაელები ქმნიდნენ. ამჯერად თბილისის ჯამაათის ერთმა ჩინებულმა წევრმა — სოსო აჯიაშვილმა გაგვიზიარა მოგონება.

თქვენ რას მოიგონებთ ქვირფასო მეგობრებო?

მოგვწერეთ, ისტორიას თქვენი წინაპრებიც ქმნიდნენ.

ეს ამბავი ჩვენი ბაბუებისგან ლეგენდად დაგვრჩა და მასში დიდი სიბრძნე დევს, ჩვენმა წინაპრებმა ძალიან შორს განჭვრიტეს და მომავალ თაობებსაც ასწავლეს თუ როგორ უნდა იცხოვრო.

წინაპრების თაობაზე

25 იანვარს ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის, ებრაული მემკვიდრეობის საერთაშორისო ბააზოვ-ფონდის ორგანიზებით ებრაულ სახლში ნათან ბააზოვმა ჩაატარა საღამო, რომელიც მის რეპრესირებულ წინაპრებს — დავით და გერცელ ბააზოვებს ეხებოდათ. მათ შესახებ სტატიები რუსეთში გამომავალ ქართულენოვან საერთაშორისო ებრაულ გაზეთში „წამი“ რამდენიმე თვის განმავლობაში ქვეყნდებოდა.

დავით ბააზოვი ცნობილი რაბინი და სტატიის ავტორის თქმით, ქართველი ებრაელების საამაყო წარმომადგენელი იყო. იგი საქართველოში სიონისტური მოძრაობის დამაარსებლად ითვლებოდა. მისი ოჯახის ისტორია ებრაელი ერისთვის საკუთარი თავის მიძღვნის მაგალითია.

გერცელ ბააზოვი ცნობილი მწერალი და დრამატურგი იყო. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ქართველი ებრაელების ისტორიულ და თანამედროვე ცხოვრებას ეხებოდა. იგი სტალინის ეპოქაში მოულოდნელად დააპატიმრეს და მისი დის — ფანიას მცდელობების მიუხედავად, პატიმრობაში გარდაიცვალა.

ფანია ბააზოვა საქართველოში ცხოვრების დროს მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო ადვოკატად ითვლებოდა. შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას და ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ებრაელობას. 1973 წელს იგი ისრაელში წავიდა, სადაც ბევრი სირთულე შეხვდა, თუმცა თავის პრობლემებზე ხმამაღლა არასოდეს საუბრობდა და მთელი ცხოვრება ებრაელი ერის ცხოვრებისა და ისტორიის შესწავლით იყო დაკავებული.

ნინო შავაძე

ისრაელელი ბიზნესმენები პატიმრობის დღეებს იგონებენ:

კოშმარი უკან დარჩა

ზეევ ფრენკელი

ინფარქტისა და მის საკანში მსხდომ პატიმართა მისი მკვლელობის მცდელობის შემდეგ, ზეევ ფრენკელმა ციხე დატოვა. ზეევი ციხეში ქრთამის შეძლევის ყალბი ბრალდებით მოხვდა.

„თავისუფლების პირველ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს“

ახლა კი შეუძლია თავისუფლად ისუნთქოს.

პირველ ღამეს, მართლა არ მოუხუჭავს თვალი: „დილის ექვს საათამდე ტელევიზორს ვუყურებდი, დაძინება ვერ მოვახერხე, ყველაფერი იმით, რაც ციხეში გადამხდა, შოკში ვიყავი“.

წელიწადისა და ექვსი თვის პატიმრობის შემდეგ იმ დღიდან, რაც იგი მეორე ისრაელელ ბიზნესმენთან — რონი ფუქსთან ერთად შეიპყრეს, ზეევმა პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. ახლა მხოლოდ ფაქტებით მელაპარაკება: საქართველოში 18 წელი ეწეოდა ბიზნესს და ერთ წამში სტაცეს ხელი, დააპატიმრეს და ექვსნახევარი წელი მიუსაჯეს, მის თანამოსაქმეს კი „საჯარო მოხელისათვის ქრთამის შეძლევის“ გამო — შვიდი წელი.

— გათავისუფლებამდე ერთი კვირით ადრე ადვოკატმა მაცნობა საიდუმლო შეთანხმების თაობაზე, რომლის მიხედვითაც მალე გამათავისუფლებდნენ. დეტალები დღემდე არ ვიცი. ჩემს საკანში შემოვიდნენ და მითხრეს: შენი ბარგი-ბარხანა შეკარიო. ისიც კი არ ვიცოდი, საქართველოდან ისრაელში როგორ გამოვფრინდებოდი. ციხიდან პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპთან მიმიყვანეს, აეროვაგზალშიც კი არ შევსულვართ. კერძო თვითმფრინავით ორსაათნახევრის ფრენის შემდეგ ისრაელის მიწაზე დავეშვით.

სუნთქვაშეკრულ ფრენკელს ერთხელაც კი არ გაუფიქრია, რომ შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ.

— ეს იყო ნამდვილი შოკი. რესტორანში ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან ერთად ვისხედით, მან თვითონ ჩამოდგა ღვინო, არაყი, შამპანური. ვისკიც კი გახსნა. მერე გვთხოვა კიდევ ერთხელ შევხვდეთ და დეტალები დავაზუსტოთო. 14 წუთის შემდეგ შუშის კარს მიღმა ხალხის ჩოჩქოლი შევამჩნიე, ალბათ, 25 კაცი იქნებოდა. ვიფიქრე პრემიერ-მინისტრი მოვიდა-მეთქი. უცებ ოთახში ტელეკამერებიანი ადამიანები შემოცვივდნენ. მოსულთაგან ერთ-ერთი ქართულად ალაპარაკდა. მის გვერდით თარჯიმანი იდგა.. თარჯიმანმა ივრითზე თქვა: „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 399-ე სტატიის მე-3 პუნქტის მიხედვით ბრალი გედებათ სახელმწიფო მოხელისათვის ხუთი მილიონი დოლარის ქრთამად მიცემაში“ სუნთქვაშეკრულნი ვიდექით. რას ლაპარაკობენ, რა ქრთამი? — ვფიქრობდი მე. ჩვენი დაკითხვა ხუთი საათი გაგრძელდა. მე ხომ დაქირავებული მუშაკი ვიყავი — გაზის გაყვანის პროექტს ვხელმძღვანელობდი. ფუქსი კი კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი იყო.

ფუქსის კომპანიამ ამ პროექტის განხორციელებაში მილიონები რომ ჩადო, ხელისუფლებამ მისი შეჩერება გადაწყვიტა. კომპენსაციის მიღებაზე მოლაპარაკება წლების განმავლობაში გაჭიანურდა. მერე ბიზნესმენებს კომპენსაციას არ მოგცემთო. აი, ამის მერე კომპანიამ ლონდონის სასამართლოს მიმართა. სწორედ ამ სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ფუქსს უნდა გადაუხადოს 98 მილიონი დოლარი.

— მე ამ საქმის არა-რა მეწილე არა ვარ, კომპენსაციიდან არაფერს ველოდი. — ამბობს ფრენკელი — მაგრამ საქართველოში იფიქრეს, რომ ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილება სერიოზული რამ არის, მისი იგნორირება არ შეიძლება. ჩვენთვის ხაფანგის დაგება გადაწყვიტეს. 2010 წლის დამდეგს საქართველოს ნავთობის კომპანიის ყოფილმა პრეზიდენტმა მთხოვა ვყოფილიყავი შუამავალი და თარჯიმანი.

15 სექტემბერს, სტამბოლში შეხვედრისას, ორივე მხარემ კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწია. ადვოკატებმა მოამზადეს დოკუმენტაცია. ისღა დარჩა დაზუსტებულიყო შეხვედრის დრო და ადგილი, თუ სად, როდის შესდგებოდა დოკუმენტებზე ხელმოწერა. სხვა საკითხებთან ერთად გადაწყდა: კომპანია ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის კომპენსაციის თანხიდან ინვესტიციის სახით შვიდ მილიონ შეკელს* გაიღებდა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ეწადათ, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალი საქართველოში გამართულიყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფუქსს და კომპანიის ბერძენ წარმომადგენელს ოფიციალური მიწვევა გამოუგზავნა.

— ფუქსს ბათუმის აეროპორტში ველოდებოდი. იგი ადვოკატთა ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა, მისი ბერძენი კომპანიონი კი არ ჩანდა. აეროპორტიდან რესტორანში წაგვიყვანეს. სამი სადღეგრძელოს შემდეგ გვთხოვეს მეორე სართულზე ავიდეთო, იქვე დაგვაპატიმრეს.

ფრენკელს ადვოკატად გამოუყვეს კაცი, რომელიც ქართულის გარდა არცერთ ენაზე არ ლაპარაკობდა. მხოლოდ ერთხელ გამოელაპარაკა ფუქსს.

სასიკვდილო შიში

ფუქსი და ფრენკელი 24 დღე ჩაკეტილ ოთახში იყვნენ მოქცეული — მანამ სანამ სასამართლო არ დაიწყო. სასჯელი დაადეს. აპელაციამ არ უშველათ.

— საშინელი შეგრძნება გვქონდა. ეს არც პაკისტანია და არც — ირანი. ეს ქვეყანა დემოკრატიულად მიიჩნევს თავს.

ფრენკელი ავადმყოფი კაცია. ციხეში გატარებული ბოლო თვეები მისთვის საშინელება იყო. ქალიშვილებს — ნეტას და ირისს — მამის ჯანმრთელობის შიში ჰქონდათ და მისი სიცოცხლის გადასარჩენად გათავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ეს ბრძოლა მას შემდეგ გააქტიურეს, რაც შეიტყვეს, რომ ციხეში ზეევის მოგუდვას ეცადნენ, მერე კი ინფარქტის ამბავი შეიტყვეს.

ფრენკელს ოპერაცია ღია გულზე გაუკეთეს.

—13 სექტემბერს მითხრეს გაემზადე, ანალიზებისათვის უნდა წაგიყვანოთო. მე ეს ლოგიკურად მეჩვენა, რადგან ჩემამდე ექიმებმა ფუქსი გასინჯეს. ბოლოს ანალიზები მაინც არ გამიკეთეს. ასე მითხრეს, ამ ციხიდან უახლოესი პოლიკლინიკა 250 კილომეტრზეაო. საკანში ჩამკეტეს, იქ ორმოცდაათი წლის მამაკაცები იყვნენ და მტრულად შემხვდნენ. მეორე დღეს შეურაცხყოფა მომაყენეს. ერთმა თქვა, ციხეს თავისი კანონები აქვს და თუ გასეირნების დროს გინდა, რომელიმე შენიანს გამოელაპარაკო, ჩვენი ნებართვა გჭირდებაო. მერე ერთ-ერთმა მათგანმა მეორეს უთხრა, რომ მე საკანში ცხოვრება გავაუარესე, რომ ჩემს გამო მათი რაიონის მკვიდრი ჭაბუკი ამ საკნიდან სხვაგან გადაიყვანეს. მე კი ვუთხარი, ამ ციხეში მოსვლის არა-რა სურვილი არ მქონდა, ჩემი სურვილით არ მოვსულვარ-მეთქი.

სამი დღის შემდეგ ფრენკელმა მოისმინა საკნის პატიმრები, თუ როგორ ჩურჩულებდნენ ერთმანეთში.

— ერთი იმის გასაგებად წავიდა, თუ სად იყვნენ გუშაგები, მეორემ კი თოკი აიღო, მე თავი მოვიმძინარე, ხელები ისე მოვიხვიე, რომ ჩემი დახრჩობა ვერ მოეხერხებინათ. თოკიანი ტუსაღი მომიახლოვდა, ჩემს დახრჩობას შეეცადა, ვერ მოახერხა, მერე ტელევიზორი ჩართო, რომ საკანი განათებულიყო, ყველაფერი კარგად გაერჩია, ისევ შეეცადა ჩემს დახრჩობას.

— შეგეშინდა?

— საშინელება იყო, მაგრამ სიტუაციას საღად ვაფასებდი: თუ ეს ორი, ჩემთვის უცნობი, კაცი ასე მტრულად მექცევა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ჩემი დაშინება უბრძანეს. ის კაცი, რომელსაც ჩემი დახრჩობა ეწადა, ათ სანტიმეტრზე მომიახლოვდა, ლოგინზე წამოვჯექი და რუსულად გინება დავიწყე. იმან ჩურჩულით მითხრა: „ნუ ხმაურობ, გაიგონებენ!“ „სწორედ ის მინდა, გაიგონონ“, — ვუთხარი მე. ღამის დანარჩენი ნაწილი საკნის კართან გავატარე. დილას გუშაგებმა კარში დატანებული სარკმელი გამოაღეს, შუქი აანთეს და დაინტერესდნენ, ოთახში რა ხდებაო. გულის არეში ტკივილი სწორედ ამ დროს ვიგრძენი, მაჯისცემაც გამიხშირდა, ექიმი მომიყვანეთ-მეთქი, ვუთხარი გუშაგებს. დამამშვიდებელი მომცეს, მე კი ექიმს ვითხოვდი. მოვიდა, გამსინჯა, აღელდა, მაჯისცემის მოსაწესრიგებლად ნემსი გამიკეთა, გამოსაძინებლად ექიმის ოთახში დამტოვეს. საკანში დილას დამაბრუნეს. მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოვხვდი ქუთაისის საავადმყოფოში, რომელიც ციხიდან ოციოდე კილომეტრით იყო დაშორებული. აქ კარდიოგრამა რომ გადამიღეს, ექიმი ციხის გუშაგებს აუყვირდა: აქამდე სად გყავდათ, რატომ არ მოიყვანეთ, მძიმე ინფარქტი აქვსო.

ანგიოგრაფიის გაკეთების შემდეგ, კარდიოლოგმა ფრენკელს უთხრა: „შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: ერთი ცუდი და მეორე ძალიან კარგი. რომლით დავიწყო?“ „ჯერ ცუდი მითხარი“ „არტერია მარცხენა მხრიდან 95% დახურულა, ხოლო მარჯვენა მხრიდან — 90%, ამაზე უარესი კი ის არის, რომ აუცილებელია ოპერაცია და კორონალური შულტირება ღია გულზე გაკეთდეს“. ფრენკელს ბედმა გაუღიმა: ეს კარდიოლოგი ადრე იხილოვის საავადმყოფოში მუშაობდა.*

ზეევი იგონებს:

— მე დავმშვიდდი — საავადმყოფოში საკმაოდ პროფესიული დონე იყო.

ფრენკელმა სამი კვირა გაატარა საავადმყოფოში, პალატასთან ხუთი დარაჯი იდგა, ღამით კი ავადმყოფის ხელს საწოლს მიაბამდნენ ხოლმე. გამოჯანმრთელების შემდეგ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მკურნალობა აქ გაგრძელეს, გათავისუფლებამდე არც შეუწყვეტიათ, მის გათავისუფლებაში კი დიდი როლი ითამაშა ადვოკატმა მორდეხაი ცივინმა.

თვითმფრინავი თელ-ავივის აეროპორტში შაბათის დადგომის წინ დაეშვა, აქ ქალიშვილები, შვილიშვილები, მეგობრები ელოდნენ.

— ამაზე მეტად ვერაფერი ამაღელვებდა — ახლობლები დავინახე, ძლიერ ავღელდი — ამბობს ზეევ ფრენკელი.

---

*სავარაუდოდ აქ შეცდომა უნდა იყოს: არა ისრაელის ფულის ერთეული — შეკელი, არამედ დოლარი.

*იხილოვის საავადმყოფო — დიდი სამკურნალო ცენტრი თელ-ავივში.

რონი ფუქსის დღიური

თამარ იახნერი
გაზეთი „იედიოთ ახრონოთ“
შევა იამიმ
28 ოქტომბერი, 2011

დაპატიმრება. 2010 წლის 10 ოქტომბერი:

სპეციალური თვითმფრინავით ჩავედით ბათუმში. ჩვენი დაპატიმრება ტელევიზიით გადაიღეს. გასაოცარია, რომ დაპატიმრების ორდერი ივრითულ ენაზე იყო გამზადებული. მაშინ მშვიდად ვიყავი. საღამოს ცხრა საათზე პოლიციის მანქანების თანხლებით და გამაყრუებელი სირენებით დავიწყეთ მგზავრობა და ხუთი საათის შემდეგ თბილისის საპატიმროში მივედით, რამდენიმე ვაშლი მომაწოდეს დასანაყრებლად და შხაპის მიღების უფლებაც დამრთეს.

სამედიცინო შემოწმება — 15 ოქტომბერი:

ახლა თბილისის საპატიმროში ვიმყოფები. კარგად მეძინა. ადვოკატი არჩილ კბილაშვილი მოვიდა ჩემს მოსანახულებლად. დავიწყეთ იურიდიული დაცვის გეგმის შედგენა. შემდეგ ჩვენმა ელჩმა საქართველოში დოქტორმა იცხაკ (იციკ) გერბერგმაც მომინახულა. ის უკვე ორი წელია იცნობს საქართველოს. მან მითხრა, რომ მისი აზრით, ქართველები შვიდი თვის მანძილზე გეგმავდნენ ჩემს მახეში გაბმას. მან დამარეკინა ორნასთან. (ფუკსის დის სახელი) სამედიცინო შემოწმება აჩვენებს, რომ წნევა და შაქარი ნორმაზეა.

ცივ საკანში — 16 ოქტომბერი:

10 საათზე სასამართლოში უნდა მიმიყვანონ. ამიტომ პირის საპარსი მომიტანეს, სურთ რომ ლამაზად გამოვჩნდე ტელევიზიით. მცველები, რომლებიც ჩემს წასაყვანად მოვიდნენ საზეიმოდ არიან გამოწყობილი. მათაც სურთ ლამაზად გამოჩნდნენ ტელევიზორში. სიცოცხლეში პირველად მივყავართ ხელბორკილებით სასამართლოში. მე და ჩემს კომპანიონს ზეევ ფრენკელს თარჯიმნები მიგვიჩინეს. ვიცოდი, რომ ეს სასამართლო სხდომა წარმოდგენა იყო მხოლოდ. საერთოდ სხდომაზე ჟურნალისტებს არ უშვებენ. არჩილმა (ფუკსის ადვოკატის სახელი) ჩინებულად ილაპარაკა. მოსამართლე ჩაფიქრდა, შესვენება ითხოვა გადაწყვეტილების გამოსატანად. შესვენების შემდეგ დიდ ციხეში გაგვგზავნა და 8 დეკემბერს დანიშნა სასამართლო. ახლა ხელბორკილების გარეშე წაგვიყვანეს იმ ციხეში. ნახევარი საათის შემდეგ მივედით იქ. როგორც გავიგე აქ ბევრი პატიმარი

იმყოფებოდა სასამართლოს პროცესის დამთავრებამდე. ციხეს საავადმყოფოც აქვს, დიდი მდელოც. პატიმართა უმრავლესობა თამბაქოს ეწევა, ზოგიერთები ინგლისურადაც ლაპარაკობენ. კვლავ ჩამიტარეს ზოგადი შემოწმებები. ამწონეს. ოჰ რა კარგია, კიდევ კილონახევარი დამიკლია წონაში. ხომ ხედავთ კარგი რამეებიც ხდება აქ.

ორსაათიანი შემოწმების შემდეგ საკანში წამიყვანეს. იქ ინგლისურად მოლაპარაკე ახალგაზრდა იყო. ვიუარე იქ შესვლა. საბოლოოდ ახალგაზრდა გაიყვანეს და მარტო დავრჩი საკანში. თვით ციხის უფროსი მოვიდა ჩემს სანახავად. მომცეს ჰიგიენური მოწყობილობები. ტრანზისტორი, საწერკალამი და ქაღალდები. ონკანში მხოლოდ ცივი წყალი მოდის, საპირფარეშო ისტორიულ საპირფარეშოებს წააგავს უგემურობით. დიდი სარკმლიდან საკმაო შუქი შემოდის. არავითარი გათბობა არაა საკანში. ღამით საკმაოდ ცივა. უმეტესად წვიმს. დღის რეჟიმი შევადგინე. ვვარჯიშობ კიდეც. უმეტესად მშვიდად ვარ. ვიცი, რომ ოჯახის წევრები, მეგობრები და ადვოკატები დღეს და ღამეს აერთიანებენ ჩემთვის. კვლავ მომინახულა ელჩმა. მხოლოდ მას აქვს ტელეფონით შემოსვლის უფლება. კვლავ დამალაპარაკა ორნასთან. შვილებს განგებ არ ვურეკავ რამეთუ ვშიშობ, რომ დიდ განცდებში შევალ და საღად ვეღარ ვიაზროვნებ. დაბანის უფლება კვირაში ორჯერ მაქვს.

17 ოქტომბერი:

კვირა დღეა. ადრე გამეღვიძა. გარეთ კვლავ სიბნელეა. პური მომართვეს. ერთი საათის შემდეგ ჩაი და რაღაც გულისამრევი საჭმელიც მოაყოლეს. 11 საათზე სპორტულ დარბაზში გამიყვანეს. ეს არის ჭერღია ცარიელი ოთახი. ვვარჯიშობ და დავრბივარ ოთახში. ვიცი, რომ ხვალ ლონდონში განიხილება საქართველოს მთავრობის გასაჩივრება ჩვენზე ფულადი კომპენსაციის გადახდის თაობაზე. ვიმედოვნებ, რომ საერთაშორისო ბანკი მოითხოვს ჩემს გათავისუფლებას. ყოველ შემთხვევაში ვიცი, რომ ბევრი ადამიანი ყველაფერს გააკეთებს ჩემთვის. კვირას ადვოკატს არ შეუძლია ჩემი მონახულება. ის ხვალ მოვა და ტანსაცმელს მომიტანს.

პირველ საათზე „დუშის“ მისაღებად წამიყვანეს. კვირაში ორჯერ მაქვს „დუშის“ მიღების უფლება, შაბათს და კვირას. სადილად სალათა მომართვეს, რომელშიც ჭარხალი, კარტოფილი და ხახვი იყო არეული. ნამდვილად ვერ დავემდურები გემოთი. როგორც იქნა, მეღირსა ნორმალურად ჭამა. შემდეგ სარკმელი გავაღე ცოტათი და სხვა პატიმრების მსგავსად ჩიტების დანაყრებას შევუდექი დარჩენილი პურის ნამცეცებით. რადიოთი ამერიკულ გადაცემას მოვუსმინე ინგლისურ ენაზე. უკვე შუქის ჩაქრობის დროა. აბაზანა მეამა და მალე დავიძინებ. მეციხოვნე ვაშლს მაძლევს.

18 ოქტომბერი:

კარგად მეძინა, მაგრამ მაინც ადრე გამეღვიძა. კვლავ მივიღე პურის ნაჭერი. ახლა ცხელ ჩაის ველოდები, რამეთუ საკმაოდ ცივა. ჩაისთან ერთად არცთუ ისე უგემური ქაში (ფაფა) მომართვეს. შვილები გამახსენდნენ, მაგრამ ვცდილობ არ მივეცე სევდას. ვიცი, რომ ისინი საკმაოდ დიდები არიან და ეცოდინებათ, რომ, საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება. დანიელი და შირლი სასწავლებელში არიან ახალა. იონი კაბინეტში იქნება. (შვილების სახელები) არჩილ კბილაშვილი მოვიდა. ორი საათის განმავლობაში ვაანალიზებდით პროკურატურის მტკიცებებს. უკვე ცხადია, რომ მინისტრის მოადგილე და მისი მდივანი მოგზავნილი აგენტები იყვნენ. გაზეთში მშვენიერი კარიკატურა ხატია, თითქოსდა მთავრობის მეთაური დიდი ამბით მეპატიჟება საქართველოში, ციხეში შესაყვანად.

ციხის დირექტორის მოადგილის კაბინეტში მიხმეს ელჩთან შესახვედრად. იციკი (ელჩი) ჭკვიანი, ალღოიანი და სწრაფად მოაზროვნე საქმის კაცია. არ უყვარს პოზები, სულ საქმეზეა გადართული. საუბრის შემდეგ ის ამერიკელ კოლეგასთან სავახშმოდ წავიდა, მე კი, საკანში დავბრუნდი. მოგვიანებით შეევექეცი ვახშამს. ნახევარი საათის შემდეგ ფოლადის კარების სარკმელი გაიღო და მეციხოვნემ ვაშლი მომაწოდა. დიდად მეამა. უკვე შუქის ჩაქრობის დროა. მეციხოვნეები სათითაოდ ამოწმებენ ყველა საკანს, რათა დარწმუნდნენ, რომ არავინ დაარღვია ნორმები და დროულად ჩააქვრეს შუქები. ჩემთან ყველაფერი რიგზეა. ღამე მშვიდობისა იერუშალაიმო. დაინტერესებულ პირებს ვაცნობ, რომ ვიმყოფები ნომერ პირველ შენობის მეცხრე საკანში.

მე მძევალი ვარ — ოცი ოქტომბერი:

შაბათ დილის შემდეგ წვერი არ გამიპარსავს. ამგვარად ოთხდღიანი წვერითა და შავი სპორტული ფორმით ნამდვილად ვემსგავსები ადგილობრივ პატიმრებს. ვინაიდან ცხელი წყალი არ მაქვს საკანში და არც საპარსი ქაფი მაქვს. ვშიშობ, რომ სახე გამეჭრება და მერე იტყვიან ძალით უქნა რაიმე საკუთარ თავსო. ამიტომაც დავიცდი სანამ ფული მექნება და ქაფს ვიყიდი. სამ დღეში კვლავ შემეძლება ცხელი „დუშის“ მიღება, ოჰ რამხელა ბედნიერებაა. კვლავ გავიარე სამედიცინო შემოწმებები, მკითხეს როგორ გრძნობ თავსო. სადილად მოხარშული ხორცი და სალათა მომართვეს. საკმაოდ კარგი სადილი იყო. სოცმუშაკთან შეხვედრა ვითხოვე, რამეთუ მას აქვს უფლება მომცეს წასაკითხი ლიტერატურა. ჩემი აზრით, მათ ჩემი მოკვლა არ უდევთ მიზნად, არამედ მენტალურად ცდილობენ ჩემს გატეხვას. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ, რომ ჯანმრთელი დავრჩე, მაგრამ მაავადებენ სულით, რათა გამტეხონ და სხვა ადამიანებიც დავარწმუნო გატყდნენ. მე მძევალი ვარ ამ მოლაპარაკებებში. დიდი ხნის მანძილზე გეგმავდნენ ჩემს მახეში გაბმას და კარგადაც მოუფიქრებიათ ყველაფერი. თვით საქართველოს მეთაურმაც ითანამშრომლა ჩემს მახეში გასაბმელად. მან ხომ პირადად მომიწვია მოლაპარაკების წარსამართავად. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი რამ ხდება იმ ქვეყანაში, რომელსაც ახლო ურთიერთობები აქვს ისრაელთან, ამერიკასთან და ევროპასთან.

მზადება სასამართლოსთვის — 26 დეკემბერი:

ბოლო ორი დღე საკმაოდ დაძაბული იყო სასამართლოში. გასაოცარია როგორი სისტემით მუშაობენ აქ. არც ცდილობენ წარმოდგენა მოაწყონ და საქმიანი სახე მაინც მისცენ სასამართლოს. კარგი კინოფილმის გადაღება შეიძლება ამის შესახებ. ადვოკატმა არჩილმა ყველა ღონე იხმარა, მაგრამ არაფრით მისცეს სასამართლოზე დაცვის მოწმეების გამოყვანის უფლება. ამასთან ერთად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა არჩილის არც ერთი თხოვნა ყველაზე უბრალო საბუთებთან დაკავშირებითაც კი. უნდა აღვნიშნო, რომ არჩილმა თავიდანვე მომამზადა მენტალურად და ამიხსნა რას უნდა მოველოდე სასამართლოში. 4 იანვარს გაიმართება შემდგომი სხდომა. მხოლოდ სამი მოწმე გამოვა სასამართლოს წინაშე და სამივენი პროკურატურის მიერ არიან მოწვეულნი. უკვე ვიცი, რომ სასამართლო სწრაფად წარიმართება, რამეთუ პროკურატურამ მანამ უნდა მიაღწიოს სანუკვარ მიზანს, ვიდრე უცხოეთში ამოიღებენ ხმებს და ჩაერთვებიან საქმეში. სულიერად მზად ვარ განაჩენისთვის. ვიცი რაც მიდევს წინ.

სასამართლო — 2011 წლის 21 იანვარი:

გუშინ ვიყავით სასამართლოში და ხვალაც უნდა წავიდეთ. სასამართლოში კვლავ გათამაშდა ჩვენთვის უკვე ესოდენ ჩვეული სცენა. უკვე აღარაფრის იმედი აღარ მაქვს და სამართალს ამაოდ ველი აქ. მაგალითად, არჩილი მტკიცებებს წამოაყენებს, პროკურორები ადგებიან და ბევრი ახსნების გარეშე მოკლე სიტყვებით წამოაყენებენ წინააღმდეგობას. „ღრმად განსწავლული“ მოსამართლე ცოტას ჩაფიქრდება და საბოლოოდ დაეთანხმება პროკურორებს. უკვე შევეჩვიე ასეთ სცენებს, ჩემთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სასტიკი უსამართლობა ვითომდა სამართლიანობაში. ძალიან ძნელია ექვსი საათის განმავლობაში დამნაშავეთა სკამზე ჯდომა. წელი მომტყდა ამდენი ჯდომით. ჩემი თხოვნით ივრითული ენის ნაცვლად ინგლისურ ენაზე მომიჩინეს თარჯიმანი. თარჯიმანმა მანდილოსანმა კარგად იცის ინგლისური ენა, იურიდიული აქვს დამთავრებული და პროფესიულ ენაზე მიხსნის საქმის ვითარებას. ყოველ შემთხვევაში არავითარი იმედები არ მაქვს სასამართლოში. ვცდილობ შევინარჩუნო სიმშვიდე. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ყველა ძვირფასი ახლობელი კარგადაა. კვება შესანიშნავად გაუმჯობესდა. რძის ნაწარმიც მოაქვთ ჩემთვის. ვაშლის და კარტოფილის გარდა ფორთოხალსაც მაძლევენ. კიდევ უფრო დავიკელი წონაში. თუ თამბაქოს წევასაც შევწყვეტ კარგი იქნება. რაც შეეხება აქაურ იუსტიციურ წყობას ჩვენი საკითხი სასამართლოში იხილება. განაჩენს საოლქო სასამართლოში გავასაჩივრებთ. გასაჩივრება სამ თვეს გასტანს. შემდეგ უმაღლეს სასამართლოს მივმართავთ და იქ კიდევ ნახევარი წელი დაგვჭირდება. დიდ მადლობას ვუხდი ისრაელის კონსულს საქართველოში ქ-ნ მიხალს. მართალია მალე უნდა იმშობიაროს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ექვსი საათის მანძილზე გაუნძრევლად იჯდა სასამართლოში და თბილი ღიმილით მამხნევებდა. მშვიდად ვარ. ვიცი, რომ ძნელი პერიოდი მაქვს გადასატანი და მზად უნდა ვიყო ყველაფრისთვის.

სუფთად გადაწერა — 2011 წლის 25 ივლისი:

ჩემო დაო, რაოდენ კარგია შენთან ტელეფონით საუბარი. კარგად იცი, რომ არასდროს მჩვეოდა წერილების წერა. თანაც ბოლო წლებში კომპიუტერზე ვარ დაჩვეული და საკმაოდ ძნელია ქაღალდზე წერა. კომპიუტერზე რამე რომ შეგეშალოს უმალ წაშლი, ახლა ქაღალდზე წერისას ათასჯერ ვფიქრობ შეცდომა რომ არ დავუშვა. ნამდვილად არ მეხასიათება ყველაფრის ხელმეორედ გადაწერა სუფთად. ვისიამოვნე ვაჟიშვილ იონისთან ტელეფონით საუბრით. ყველას დადი მოკითხვა გადაეცი ჩემგან.

მკაცრად ვიცავ ციხის რეჟიმს — 1 სექტემბერი:

ჩემს საკანში 43 წლის ადგილობრივი მოქალაქე ზის. თურმე მეხუთეჯერ ამოჰყო ციხეში თავი. საერთო ჯამში 22 წელი გაატარა ციხეებში და ამჟამად კიდევ სამი წელი მოუწევს აქ დარჩენა. ჭკვიანი კაცია. მასთან ლაპარაკით ვცდილობ გავიგო როგორ შეიძლება წლობით ციხეში ყოფნაზე შეჩვევა. მრავალწლიანი პატიმრობის მიუხედავად მასაც ვერ გაუგია ეს, მაგრამ ფაქტია, რომ გაუძლო პატიმრობებს. სულ თქვენზე ვფიქრობ. საერთოდ, ციხე მარტივი რამეა თუ ტვინში შეუშვებ გარკვეულ რამეებს და ალღოს აუღებ აქაურ წესებს. ამიტომაც მკაცრად ვიცავ ციხის რეჟიმს. თქვენგან მიღებულ ბევრ წიგნებშიც წერია ციხის შესახებ. საკმაოდ კარგად ვეწყობი აქაურ პატიმრებს. მათ იციან, რომ მე არავითარი კავშირი არ მაქვს მათ სამყაროსთან ან სადავო საკითხებთან. ვერასდროს წარმოვიდგენდი თუ ამ სამყაროში ამოვყოფდი თავს ოდესმე. ბევრი ჭკვიანი ახალგაზრდები არიან პატიმრობაში. ახლა სხვანაირად ვუყურებ ცხოვრებას, ახლა ვიცი რაოდენ დასაფასებელია თავისუფლება... ოჯახი, სითბო... ამგვარად პატიმრები არაფერს მერჩიან. ყველაზე უფრო ის მეძნელება, რომ უსამართლოდ ვარ პატიმრობაში. ვიცი, რომ ყველანი მაქსიმუმს აკეთებთ ჩემი გათავისუფლებისათვის, მაგრამ გთხოვთ, არ დაკმაყოფილდეთ ამით, კვლავ შეამოწმეთ რისი გაკეთება შეიძლება დამატებით. ფაქტიურად, მთავრობის მეთაურის სტუმარი ვარ საქართველოში, მაგრამ ნამდვილად არავის ვურჩევდი ამისთანა სტუმრობას. ისინი ყველანაირად ცდილობენ ჩემს გამწარებას. მარტო უსამართლო განაჩენით როდი დაკმაყოფილდნენ, ბევრ რამეში შემზღუდეს ტყუილ უბრალოდ.

21 სექტემბერი:

ღამის ორის ნახევარზე უეცრად საკნის კარი გააღეს და ერთ-ერთ პატიმარს უთხრეს შეხვედრაზე ჩადი ქვემოთო. (აღინიშნება, რომ ბოლო თარიღები იწერება განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაშინ როდესაც სხვა ციხეში გადაიყვანეს ფუკსი და საკანში მარტო აღარ არის). უფრო მოგვიანებით პატიმარი მეციხოვნის თანხლებით რომ დაბრუნდა მკითხეს ტანსაცმლით რატომ ხარ ასე გვიანო. სტუმრებს ველოდები მეთქი, ვუპასუხე. მაშ შეგიძლია გაიხადო და მშვიდად დაიძინოო, მითხრეს ღიმილით. ვგონებ, რომ მათი მიზანია კარგად ვიგრძნო თავი. მეორეს მხრივ, ბევრი უფლებები ჩამომართვეს. მაგალითად, ჩემს სართულზე მყოფ პატიმრებს ეკრძალებათ ჩემი მონახულება, ჭადრაკსაც არ მათამაშებენ. უკვე ორი დღეა არც სასადილოში ვყოფილვარ და არც ეზოში სასეირნოდ.

ვცდილობ გავძლიერდე. თავს ვუფრთხილდები, შუადღითაც ვიძინებ. ახლა შემაწუხებლად ცივა. ამიტომ ყოველთვის არ შემიძლია ეზოში ჩასვლა. მთებზე უკვე თოვლი მოსჩანს. ვინაიდან საქართველოში საათს არ ცვლიან ადრე ბინდდება. რაც შეეხება საჭმელს თქვენგან გამოგზავნილი ხორცი და ხმელი ხილი არ მომაწოდეს. ამრიგად, ხუთი თვეა არ მიჭამია ხორცი. ოქტომბრიდან ბოსტნეულის შეტანაც იკრძალება საკანში. ამრიგად, რძის ნაწარმით ვიკვებები და სასადილო ოთახში სტაფილოს, კარტოფილს, ხახვს და ამგვარ ბოსტნეულს მივირთმევ. როგორც იქნა, ციხის მაღაზიაში კვერცხებიც მოიტანეს გასაყიდად. ყველაფერს ვაკეთებ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გუშინ ორი ხაბადნიკი რაბი მოვიდა ჩემთან და ქიფურის სალოცავი სიდური მომიტანეს. ცოტა „ქოლ ნიდრე“ ვიმღერეთ ერთად და გამიხარდა, რომ ქოლ ნიდრეს დასაწყისში წერია „ანახნუ მათირინ ლეჰითფალელ ყიმ ჰაყავარიანიმ“ (პირდაპირი თარგმანით ნიშნავს: ჩვენ ნებას გაძლევთ ილოცოთ დამნაშავეებთან). ჩვენმა რაბებმა ყველაფერზე იფიქრეს...

1 ოქტომბერი:

როშ ჰაშანის შემობრძანების საღამოს სევდა შემომაწვა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ერთად არ ვართ. წარმოდგენითა და ფიქრებით თქვენ შემოგიერთდებით, თქვენთან ერთად ვიჯექი სუფრა-

სთან და სასმისიც ავწიე. შემდეგ წარმოვიდგინე, რომ ჩვენს სახლში ჩამეძინა დივანზე. ყველას გისურვებთ უკეთეს წელიწადს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ჩვენ კარგის ღირსნი ვართ და დადგა დრო, რომ ვეღირსოთ სიკეთეს. ხომ გვეკუთვნის სიკეთე?

***

საქართველოს ელჩი ისრაელში: ფუკსმა ქრთამი შესთავაზა.

ზემოთ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ გაზეთ „იედიოთ ახრონოთ"-ის ჟურნალისტმა კანონის მიხედვით რეაგირების მოხდენის თხოვნით მიმართა საქართველოს ელჩს ისრაელში ვახტანგ ჯაოშვილს და შემდეგი მოისმინა მისგან: „რონი ფუკსის საკითხი სისხლის სამართლის დანაშაულია. მან შვიდი მილიონი დოლარის ქრთამი შესთავაზა ჩვენი ქვეყნის ფინანსთა მინისტრის მოადგილეს. სავსებით დამამტკიცებელი ფაქტები არსებობს იმისა, რომ მან ეს თანხა შესთავაზა მთავრობის მუშაკს, რათა მას (ე. ი. ფუკსს) მიეღო საერთაშორისო სასამართლოში დადგენილი თანხა და საქართველოს მთავრობას არ გაესაჩივრებინა მის სასიკეთოდ გამოტანილი გადაწყვეტილება. თუ ეს არ ითვლება ქრთამად, მაშ ნამდვილად ვერ გამიგია რა არის ქრთამი. მან უთხრა (ე. ი. ფუკსმა მინისტრის მოადგილეს უთხრა) წარსულშიც მოქცეულა ასე, კვიპროსის ბანკში შესთავაზა ფულის ჩარიცხვა და დასძინა: „თქვენი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება. ახლა გაქვთ განუმეორებელი შესაძლებლობა სავსებით შეცვალოთ ცხოვრება".

რონი ფუკსი დანაშაულის გამო ზის ციხეში. დანაშაულს სასჯელი მოყვება. მესმის მისი ოჯახის ტკივილი, მაგრამ თუ თვით საქართველოს მოქალაქეებს ვსჯით დანაშაულის შემთხვევაში, სხვანაირად ვერ მოვეპყრობით უცხოელ მოქალაქეებს. ფუკსს ისრაელში რომ ჩაედინა იგივე დანაშაული აქაც დასჯიდნენ პატიმრობით.

ის არავის გაუტაცია, არამედ დააპატიმრეს ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით. საქართველოს მთავრობის მეთაურმა არ იცოდა თუ დააპატიმრებდნენ მას. მთავრობის მეთაურმა შეთანხმების მიღწევის მიზნით მოიწვია იგი. ფუკსი გაასამართლეს ყველა საერთაშორისო ნორმების მიხედვით და საბოლოოდ დამნაშავედ იქნა აღიარებული ფაქტების ნიადაგზე. არ მგონია, რომ საქართველოს მონიტინი დაზარალდა ისრაელში ამ ორი ისრაელი ბიზნესმენის დაპატიმრების გამო. ჩვენ ვაფასებთ ისრაელთან კავშირებს, მაგრამ კანონი კანონია. ის კაცი დანაშაულის გამო ზის ციხეში და ამან არავითარი ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს საერთაშორისო კავშირებზე.

*— **რას იტყვით იმ თანხის შესახებ, რომელიც გმართებთ მის მიმართ საერთაშორისო სასამართლოს დადგენილებით?***

საქართველომ გაასაჩივრა ის დადგენილება. რა თქმა უნდა, აღვასრულებთ საბოლოო განაჩენს და ვიმოქმედებთ მისი მიხედვით, რანაირიც არ უნდა იყოს ის დადგენილება.

*— **რას უპასუხებთ იმ მტკიცებას, რომ თქვენ სინამდვილეში ისრაელზე იძიებთ შურს თქვენზე იარაღის მიყიდვის გამო?***

წარსულში იარაღი ვიყიდეთ ისრაელიდან რუსეთმა მძიმე დაწოლა მოახდინა ისრაელზე და მოითხოვა ჩვენზე იარაღის მიყიდვის შეწყვეტა. პარალელურად დაიმუქრა, რომ თუ ისრაელი გააგრძელებს ჩვენზე იარაღის მოყიდვას ის (რუსეთი) თავისი მხრივ განვითარებულ იარაღს მიყიდის ირანს და სხვა არაბულ ქვეყნებს. ვინაიდან ისრაელი ჩვენი მეგობარია არ გვსურდა ამ საკითხში დიდი დაწოლის მოხდენა.

დიახ. ფუკსი 1992 წელს ჩამოვიდა საქართველოში და მიიღო ნავთობგადასატანი მილების ამუშავების უფლება. იმ დროს საქართველოში საშინელ დანაშაულებს და მექრთამეობებს ჰქონდა ადგილი და არ გვყავდა ხალხიდან არჩეული მთავრობა თუ პარლამენტი. ფუკსის კომპანიამ 30-წლიანი მონოპოლი მიიღო. გასაოცარია, რომ მას ბევრი ფული არ დაუბანდებია საქართველოში, პირიქით, ჩვენგან წაიღო ფული.

ეს ყველაფერი ბევრ სერიოზულ შეკითხვებს ბადებს, მაგრამ საქმის შემოწმება აღარ შეიძლება ბევრი ხნის გასვლის გამო. მან ფაქტიურად არ შეასრულა კონკურსის პირობები. ამიტომაც ჩვენმა მთავრობამ ახალი კონკურსი გამოაქვეყნა და სხვა კომპანიასთან დაიკავა საქმე. ყოველივე ამას არავითარი კავშირი არ აქვს მის დაპატიმრებასთან.

*— **ფუკსი და მისი ოჯახის წევრები იმტკიცებიან, რომ იგი მძიმე პირობებში იმყოფება ციხეში.***

ის ყველაზე ახალ ციხეშია საქართველოში, რომელიც სულ ერთი წლის წინ გაიხსნა. საქართველოში იმ ციხეში ერთ-ერთი ყველაზე კარგი პირობები აქვთ პატიმრებს. ამგვარად, ეს მტკიცება არაა სწორი.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი სახის რეაგირება მოაწოდა ამ სტატიასთან დაკავშირებით: „ჯერ კიდევ ბიზნესმენებს დაპატიმრების პირველივე დღეებში საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფოს რჩეულმა წარმომადგენლებმა ქართველ კოლეგებს მიმართეს და გარკვევით აუხსნეს, რომ ამ შემთხვევამ შესაძლოა მეტად უარყოფითად იმოქმედოს ორი ქვეყნის დამოკიდებულებებზე, ვინაიდან ისრაელის საზოგადოებამ დიდი შეშფოთებით მიიღო ეს შემთხვევა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელი არასდროს ჩარეულა და არც ჩაერევა საქართველოში მიმდინარე სასამართლო პროცესში და არც ბიზნესურ საკითხებში აპირებს ჩარევას. თბილისში, ისრაელის საელჩო ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენი ქვეყნის პატიმრებს კარგი პირობები ჰქონდეთ იქ და უზრუნველყოფილი იყოს მათი ჯანმრთელობის საკითხები".

მთავრობის კანცელარიამ იუარა ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე რეაგირების მოხდენა.

გადმობეჭდილია გაზეთიდან
„ალია საქართველოდან"
12 იანვარი, 2012 წელი

ისრაელისა და ებრაელობის ირგვლივ

ბარონ როტშილდი The Daily Mail-ის წინააღმდეგ

ცნობილი ბარონების დინასტიის შთამომავალმა, მილიარდერმა ნათანიელ ჩარლზ ჯეიკობ როტშილდმა ბრიტანული საგამომცემლო სახლის — „Associated Newspapers" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, იგი მას ცილისწამებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ 24 იანვარს უცხოური პრესა აქტიურად წერდა. ბარონ როტშილდის რისხვა გამოიწვია 2010 წელს „The Daily Mail"–ში გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიც მილიარდერს მიაწერენ საიდუმლო კავშირს რუს ოლიგარქთან ოლეგ დერიპასკასთან, რომელიც კომპანია „რუსალის" მფლობელია.

სკანდალური სტატიის ავტორი — რიჩარდ პენდლბერი ამტკიცებს, რომ როტშილდმა, რომელიც „რუსალის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, თავის პირად თვითმფრინავით მოსკოვში ჩაიყვანა მაშინდელი ევროკომისიის უმაღლესი კომისარი ვაჭრობის საკითხებში — ლორდ მენდელსონი. სავარაუდოდ, ამ ვიზიტის ფარგლებში გადაწყდა „რუსალის" ორი ქარხნის, რომელთა საერთო ღირებულება 800 მილიონი დოლარია, ალუმინის მრეწველობაში მსოფლიო ლიდერისთვის — კომპანია „Alcoa" –სთვის მიყიდვა.

პენდლბერი ასევე აღნიშნავს, რომ ამ გარიგებამ ევროპულ ბაზარზე ალუმინის ფასის მკვეთრი დაწევა გამოიწვია, რასაც ასობით ბრიტანელი მუშახელის უმუშევრად დატოვება მოჰყვა.

ლონდონის უმაღლეს სასამართლოში როტშილდის ინტერესების დამცველი — ჰიუ ტომლინსონი ამტკიცებს, რომ ამ ცილისმწამებლურმა სტატიამ ბარონის რეპუტაციას უზარმაზარი ზიანი მიაყენა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი კლიენტი გამოყვანილია როგორც თოჯინის მატარებელი, ლორდი მენდელსონი კი — მარიონეტად უსამართლო თამაშში.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის დეკემბერში საგამომცემლო სახლმა — „Associated Newspapers" შესწორება შეიტანა, განაცხადა, რომ სადილს, რომელზეც გარიგება შედგა, მენდელსონი არ ესწრებოდა.

სასამართლოში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ასევე თვითმხილველთა ჩვენებები მიუთითებს, რომ მენდელსონი ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა აბაკანში და ციმბირში, სადაც ასევე იმყოფებოდნენ როტშილდი, დერიპასკა და კომპანია „Barrick Gold"–ის ხელმძღვანელი პიტერ მუნკი.

მენდელსონი კი ამტკიცებს, რომ აღნიშნული მოგზაურობა მხოლოდ გართობის მიზნით დაიგეგმა და არანაირი საქმიანი საკითხები ამ ვიზიტის დროს არ განხილულა.

აშშ

„აშშ თავს ვალდებულად თვლის იმის შესახებ, რომ ირანს ბირთვული იარაღი არ აღმოაჩნდეს", — განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ საჯარო გამოსვლაში.

ამ ტრადიციული გამოსვლის დიდი ნაწილი, აშშ-ს დაეთმო. მისი გამოსვლის მთავარი თემები იყო: ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი, საგადასახადო რეფორმები, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და განათლების საკითხები. ამავე დროს ამერიკის პრეზიდენტი საერთაშორისო მდგომარეობასაც შეეხო.

„ბინ-ლადენი მოკლულია. თალიბანის ეპოქა წარსულს ჩაბარდა. „ალ-ქაიდას" ეპოქაც წარსულში მიდის. ახლა ჩვენი მთავარი პრობლემა — ირანია. ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, არამედ მთელი კაცობრიობის პრობლემაა, აიათოლას რეჟიმს არ უნდა ჰქონდეს ბირთვული იარაღი და აშშ ამ ამოცანის გადაწყეტაში თავის პასუხისმგებლობას კარგად ხედავს. თუმცა, ამ საკითხის განხილვის არც ერთი გზა არ არის დაკეტილი".

რუსეთმა გაეროში ისრაელს პრეტენზია წაუყენა

რუსეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს არაბულ-ისრაელურ დიალოგში და ორივე მხარეს ძალადობისგან თავის შეკავება ურჩიოს. ამის შესახებ გაეროს საბჭოში რუსეთის წარმომადგენელმა — ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, წერს „Kypcop".

რუსეთის წამომადგენელი, ისევე როგორც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს სხდომის სხვა მონაწილეები, მიესალმა ამანში, ამ თვის დასაწყისში იორდანიის აქტიური მონაწილეობით პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების აღდგენას და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარებას.

ამასთან ერთად, რუსული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გაეროს უსაფრთხოების საბჭოში პალესტინისა და ისრაელის წარმომადგენლების გამოსვლა მხოლოდ ერთმანეთის დადანაშაულებას და პრეტენზიებს შეიცავდა. ისრაელის მიმართ კრიტიკა რუსეთის წარმომადგენლის — ჩურკინის მხრიდანაც ისმოდა. მან ღაზას სექტორიდან ბლოკადის მოხსნა და იუდეაში, სამარიასა და აღმოსავლეთ იერუსალიმში მოსახლეობის აქტიურობის შეწყვეტა მოითხოვა. რუსეთის ელჩმა შეშფოთება გამოთქვა დასავლეთ ნაპირზე პალესტინელების მიმართ ძალადობის ზრდის, მათი ქონების მიტაცების და ისრაელელი სამხედროების მიერ პალესტინური მთავრობის წარმომადგენლების დაპატიმრებების გამო. პირველ რიგში, საუბარი იყო საკანონმდებლო საბჭოს მეთაურის, ისლამური დაჯგუფება „ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერის — აბდელ აზიზ ად-დუეიკის შესახებ. „ასეთი ფორმის აქციები, ნამდვილად, არ პასუხობს ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას", — თქვა ჩურკინმა.

ისრაელში 10 განსვენებულს ერთი საფლავის ქვის ქვეშ დაკრძალავენ

დამკრძალავი ბიურო („ხევრა კადიშა") გამოვიდა ინიციატივით სასაფლაოს მიწის ეკონიმიურად გამოყენების შესახებ. როგორც „Kypcop" იტყობინება, მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ქვის ქვეშ, ფენების მიხედვით, დაახლოებით, ათი ადამიანის ცხედარი აღმოჩნდება. დონეებს შორის იქნება არა მარტო მიწა, არამედ აგურის და ბეტონის ფენაც. „იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დავზოგოთ მიწა და იგი სხვა დანიშნულებისთვის გამოვიყენოთ", — განაცხადა ქვრ საბას დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელმა — მორდეხაი ელბოიმ.

19 დეკემბერს მინისტრმა რელიგიურ საკითხებში იაკობ მარგიმ განაცხადა, რომ ბოლო წლებში ისრაელში სამარხი ადგილების უკმარისობა შეინიშნება და ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ ებრაელების სართულებრივად დაკრძალვა. მარგიმ აღნიშნა, რომ სართულებად დაკრძალვა არ ეწინააღმდეგება რელიგიურ კანონებს.

„არიან არაკეთილისმოსურნეები, რომლებიც ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ ჩვენ არ მივყვებით იუდაიზმის წესებს, მაგრამ ეს სიმართლე არ არის. მთავარი რაბინები შეთანხმდნენ, რომ სართულებად დაკრძალვა შეიძლება", — დაასკვნა მინისტრმა რელიგიის საკითხებში.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. **აბიმელეხ როზენბლატი**

ბეშალახი

ჩვენი თაობის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ თვისებად მოთმინების არქონა, მოუთმენლობა ითვლება. ივრითზე მოთმინება ასე ჟღერს „სავლანუთ“. ასეთივე ფუძე აქვს სიტყვას „სეველ“ – ტანჯვა. მსოფლიოში ტანჯვის ორი კატეგორია არსებობს – ერთი მათგანი არის ისეთი ტანჯვა, რომელსაც არავითარი აზრი არ აქვს. მაგალითად, როდესაც ვინმესგან შეურაცხყოფილი ადამიანი თავის თავში ატარებს სიბრაზესა და აღშფოთებას. მეორე კატეგორიის ტანჯვის მიზანი კი ჩვენი გამოსწორებაა, რომ უფრო შეგნებულები გავხდე. თორა საუბრობს იმაზე, რომ ტანჯვას მივყავართ რაღაც უფრო ამაღლებულამდე – სულიერ წინსვლამდე. ნებისმიერ ადამიანს სჭირდება საკუთარი თავის აღზრდა. როდესაც ადამიანს მოთმინების უნარი აქვს, მაშინ მას შეუძლია იმ შინაგანი ხმის დაძლევა, რომელიც მოუწოდებს იყოს ეგოისტი. პატიოსანი ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს, რომ მას სურს ბოლოს და ბოლოს მხოლოდ საკუთარი, ამწუთიერი მოთხოვნილებები, და რომ ის, მართლაც ფიქრობს: „ყველაფერი მეკუთვნის მე“. ის მაშინ, ბოლოს და ბოლოს მიხვდება, რომ თავს სამყაროს ცენტრად თვლის და ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს.

სიმართლე კი ისაა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელშიც მოთმინება არ გვყოფნის, არასრულყოფილია. თუ რამე გაკეთებულია სწრაფად, დაძაბვით, მას წარმატება არ ექნება, და შემდგომში მის გამოსასწორებლად საჭირო გახდება დიდი ძალისხმევა და დრო. სამწუხაროდ, არასაკმარისი მოთმენის უნარი გამოვლინდება არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართაც. ადამიანების უმრავლესობა წყვეტს იმის კეთებას, რაც მათთვის მნიშვნელოვანია, რისი მიღწევაც სურდათ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ყოფნით მოთმინება. განა არ დაგვიწყია უცხო ენების შესწავლა, მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა, საინტერესო წიგნების კითხვა, და შემდეგ ნახევარ გზაზე არ მიგვიტოვებია?

მოთმინება – ეს არის იმის გაგების უნარი, რაც ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია, იმის სწავლა, რომ არ ვიმოქმედოთ აგრესიულად და ნაჩქარევად არც სხვებთან და არც — საკუთარ თავთან მიმართებაში. იმის გაგება, რომ საჭიროა დიდხანს და მძიმე მუშაობა იმისათვის, რომ მივაღწიოთ სასურველ შედეგს. ხანდახან ხომ საჭიროა თვეობით, წლობით ველოდოთ მიზნის მიღწევას. ამიტომ საჭიროა ვისწავლოთ სწორ რითმში ცხოვრება. მაშინ ადამიანის ყოველი ქმედება ხდება კურთხეული, ღრმა, ეფექტური. და ამაზეა ნათქვამი: „მოთმინება მწარეა, მაგრამ მისი ნაყოფი – ტკბილი.“

წინამდებარე თავში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ებრაელები მივიდნენ სამყაროს იმ ადგილას, რომელსაც „მწარე“ ჰქვია. ეს სახელწოდება მას ჰქონდა იმის გამო, რომ აქ წყალი მწარე იყო. ებრაელები მოშესთან მივიდნენ პრეტენზიით, რომ არაფერი აქვთ დასალევი. მაშინ გამჩენმა მოშეს უჩვენა ხე, მოშემ ის წყალში ჩააგდო და წყალი დატკბა. ნათქვამია, რომ ხეც მწარე იყო. მოხდა სასწაული. სასწაულში – მწარე მოხვდა მწარეში და ორივე დატკბა. რაზეა აქ საუბარი? წყალი თორაა, ხე კი – ადამიანი. ხშირად ადამიანს ჰგონია, რომ თორა მწარეა და ამბობს – „ის ჩემთვის არაა“, „ეს ძალზე ძნელია“, ან „ახლა სხვა დროა, საჭიროა ცვლილებების შეტანა“. სინამდვილეში პრობლემა ადამიანშია, უპირველეს ყოვლისა - მის დამოკიდებულებაში საკუთარ თავთან. გამჩენი ყოველ ჩვენგანს ეუბნება აიღე საკუთარი თავი (ხე – ეს ადამიანია), და ჩააგდე წყალში, ანუ თორაში, და მაშინ შენც და ის თორაც, რომელსაც შეუშვებ შენში დატკბებით. უხეში იქცევა „რბილ“ ადამიანად, ბოროტი – შედარებით კეთილად, ხელმოჭერილი – შედარებით ხელგაშლილად. მხოლოდ მოთმინება და კვლავ მოთმინებაა საჭირო.

ერთხელ ური ზოჰართან, წარსულში ცნობილ ისრაელელ მსახიობსა და რეჟისორთან, ახლა კი ცნობილ რაბინთან, სტუმარი მივიდა. ის ერთ-ერთი სინაგოგის რაბინი იყო და სურდა ური მიეწვია თავის სინაგოგაში დივრეი თორის წარმოსათქმელად. ეს ხანუქის დღეებში მოხდა. ხანუქის სანთლების ანთებამდე კიდევ ცოტა დრო იყო და სტუმარი და მასპინძელი სალონში დასხდნენ. სტუმარმა მოახსენა მისვლის მიზეზი, ურიმ კი უპასუხა: „მე რისთვის გჭირდებით, იმის გამო ხომ არა, რომ ური ზოჰარი ვარ? უმჯობესია თავად მოუყვეთ ხალხს რაიმე თორიდან, წინასწარმეტყველების წიგნიდან. მე რითი გჯობივართ თქვენ?“ ერთი სიტყვით, სტუმარს თხოვნაზე უარი უთხრა. სანთლების ანთების დროც მოვიდა, მან ხელი ხელს შემოკრა და შვილებს მოუხმო: „ბავშვებო, მოდით აქ, სანთლების ანთების დრო მოვიდა.“ სტუმარი კი გავიდა და სახლში დაბრუნდა. გვიან ღამით ამ რაბინთან მოსწავლე მივიდა და უთხრა, რომ ური ზოჰარი ეძებდა. მას გაუკვირდა: „რა მოხდა, დღეს ხომ მასთან ვიყავი?“ მოწაფემ წერილი გადასცა, რომელშიც ეწერა: „ბოდიშს გიხდით, არცთუ ისე ლამაზად მოგექეცით. ჩემი საქციელის კომპენსაციისათვის მოვალ და ვიტყვი დრაშს“. ური ზოჰარმა იფიქრა, რომ სტუმრის სახლიდან გასვლისას მის მიერ ხელების შემოკვრით შეიძლებოდა სტუმრისათვის წყენა მიეყენებინა და ამის გამო უხდიდა ბოდიშს. ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ბევრი ჩვენგანი ამას, მართლაც, ასე მიიღებდა, მაგრამ, როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე მუშაობს, მასში ბევრი რამ იცვლება. დიახ, ეს ძნელია. წყალი ხომ არამდგრადი სტიქიაა და ის კიდევ ადამიანთა იმ სურვილების სიმბოლოცაა, რომელთაც მისი მთლიანად ჩაძირვა შეუძლიათ. ამიტომაცაა საჭირო მოთმინება. მაშინ ადამიანი თანდათანობით იწყებს ამ წყალში ცურვას, მის მართვას და ამით სიამოვნების მიღებას.

იორამ კანიუკმა ებრაელობაზე უარი თქვა

ისრაელში არის მწერალი იორამ კანიუკი. კარგი მწერალი. მისი მხატვრული პროზა არცთუ ისე აღმაფრთოვანებელია, მაგრამ დოკუმენტური, ძალიან კარგია. ცოტა ხანში რუსულ ენაზე გამოვა მისი წიგნი „ამოსვლა“ — „ექსოდუსის“ ლეგენდარული კაპიტნის იოსი ჰარელის ბიოგრაფია, ისტორია ადამიანისა, რომელიც კანიუკის აზრით, იმით იყო გამორჩეული, რომ თავისი ხალხი და ქვეყანა საკუთარ თავზე მეტად უყვარდა. კანიუკსაც თავისი გმირი, სწორედ რომ ამ თვისებების გამო უყვარს. ასეთი ფასეულობების სისტემა ამოძრავებდა თავად მწერალსაც — 17 წლის ასაკში იგი „პალმახის“ მებრძოლია, შემდეგ დამოუკიდებლობის ომის მონაწილე. მის ბევრ ნაწარმოებში სწორედ ეს ფასეულობებია წინ წამოწეული.

70 წლის კანიუკი წერას განაგრძობს. მისმა რომანმა „1948“ 2011 წელს პრესტიჟული ისრაელური ლიტერატურული პრემია — „საპირი“ მიიღო. ცოტა ხნის წინათ მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს: „ჩემს თაობაში გვასწავლიდნენ, რომ ებრაელები არ უნდა ვყოფილიყავით, რადგან ებრაული დიასპორულს აღნიშნავდა. მე ებრაელი გავხდი, როგორც ცხოვრებაში, ასევე ჩემს შემოქმედებაში. ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა თანახმა მოახდინა“.

თუმცაღა, თუ ვკითხავთ საშუალო სტატისტიკურ ისრაელელს, თუ რით გაითქვა სახელი ბოლო დროს კანიუკმა, საეჭვოა, რომ მისი რომანისა და ჯილდოს გახსენება შეძლოს.

იორამ კანიუკმა 2011 წლის მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრაციის ბიუროს მიმართა მოთხოვნით — მის დოსიეში გრაფაში „რელიგიური აღმსარებლობა“ ჩაწერილი „იუდაიზმი“ შეიცვალოს ჩანაწერით — „რელიგიური აღმსარებლობის გარეშე“.

თელ-ავივის საოლქო სასამართლომ სცნო მწერლის იორამ კანიუკის უფლება, რომ ოფიციალურ რეესტრში ჩაწერილი იყოს, როგორც „მოქალაქე რელიგიური კუთვნილების გარეშე“ (ხასარ დათ). აქამდე კანიუკის გრაფაში — „რელიგია“ ჩაწერილი იყო — იუდაისტური აღმსარებლობა. სასამართლო პროცესზე კანიუკმა ახსნა, რომ სურს მის გრაფაში — „ეროვნება“ ჩაწერილი იყოს — „ისრაელელი“, თუმცა, ეს შეუძლებელია, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, ასეთი ეროვნება არ არსებობს.

ამით მწერალმა თავის შვილიშვილს — ომრის გამოუცხადა სოლიდარობა. კანიუკი ამერიკელ ქრისტიანზეა დაქორწინებული. მისი ქალიშვილი ისრაელში დაიბადა, ივრითი მისი მშობლიური ენაა და „ცახალშიც“ მსახურობდა, მაგრამ მზად იყვნენ მისი შვილი ჩაეწერათ როგორც „ამერიკელი ქრისტიანი“ ან „ადამიანი რელიგიის გარეშე“, რადგან მისი ბებია დედის მხრიდან არაებრაელია. სულ მალე ამის შემდეგ ბაბუამ მოითხოვა, რომ შსს-მ იგი ჩაწეროს როგორც „ადამიანი აღმსარებლობის გარეშე“.

მოსამართლემ — გიდონ გინატმა თავის დადგენილებაში იორამ კანიუკის სარჩელიდან ციტირება მოიყვანა: „მომჩივანის გულს არ შეუძლია უფრო მეტად თანაუგრძნოს იუდაიზმს — იმ სახით, რომლითაც იგი დღევანდელობაშია ტრანსფორმირებული“. მოსამართლე გინატმა კანიუკის ეს თვითშეგრძნება საკმარისად აღიარა იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს მისი თხოვნა რელიგიური აღმსარებლობის გაუქმების შესახებ.

„არ მინდა ვიყო იუდაისტური ირანის ნაწილი ან ნაწილი იმისა, რასაც დღეს მოჩვენებით ებრაელთა რელიგია ეწოდება“, — თქვა მწერალმა, თან აღნიშნა, რომ დღევანდელი „რელიგიურები“ არ იცავენ ფასეულობებს, რომლებიც ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციაშია აღნიშნული.

კანიუკის მაგალითს ათობით ებრაელმა მიბაძა. მათ შორის არიან 77 წლის ამოს ემირი და მისი 64 წლის მეუღლე — რივკა. ამირი ავიაციის ბრიგადის გენერალი და „ცახალის“ საჰაერო სამხედრო ძალების მთავარსარდლის ყოფილი მოადგილეა, ამჟამად კი პენსიაზეა. „დღემდე ჩვენ მსგავს ნაბიჯზე არ ვფიქრობდით, მაგრამ კანიუკის გამარჯვების შემდეგ, მეუღლესთან ერთად ანალოგიურად მოქცევა გადავწყვიტე. ეროვნებით ებრაელები ვართ, მაგრამ ეს ნაბიჯი საჭიროა იმისათვის, რომ რელიგია სახელმწიფოსაგან გავმიჯნოთ“, — აღნიშნა ამირმა.

მათ შორის, ვინც კანიუკის ადვოკატს მიმართა არის „პალმახის“ ვეტერანი. იგი ითხოვს, რომ მის გრაფაში ჩაწერილი იყოს „თავისუფალი“, რადგან შიშობს, რომ ჩანაწერი „რელიგიის ჩამორთმევა“ (ხასარ დათ) შეიძლება შეცდომით იყოს გაგონილი და დაიწეროს როგორც „ხასარ დაათ“ (ჭკუის შეშლა).

სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ კომენტარის გაკეთებისას, ყოფილმა მთავარმა რაბინმა — მეირ ლაუმ განაცხადა: „მეცოდება იორამ კანიუკი და ყველა ის, ვინც თვლის, რომ შეიძლება ებრაული ან ისრაელური ეროვნება თაობების მემკვიდრეობას მოწყვიტო..., თავის დროზე საადია გაონმა განაცხადა, რომ „ჩვენი ხალხი არაფერია საკუთარი თორის გარეშე, — დაასკვნა რაბინმა. — მტკივა იორამ კანიუკის გამო, რადგან მან დაწერა წიგნი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ და ვინ, თუ არა მან იცის, რომ მეთაურები და ჯარისკაცები თავიანთ სიცოცხლეს ებრაული სახელწიფოს შექმნისთვის, იმ მიზნისთვის წირავდნენ, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციაშია განსაზღვრული: არა ებრაელების სახელმწიფო, არამედ ებრაული სახელმწიფო. რით იქნება გამოხატული მისი „ებრაელობა“? თუ ჩვენ გადარჩენა გვინდა, ეროვნებისა და რელიგიის გაყოფა არაფრით არ შეიძლება“, — დაასკვნა რაბინმა ლაუმ.

ჰოლივუდის ებრაელი ვარსკვლავები

აშშ-ში გამომავალმა ებრაულმა გაზეთმა „The Algemeiner“ გამოაქვეყნა 10 ყველაზე ცნობილი ებრაელი კინომსახიობის სია. რეიტინგის შექმნისას გათვალისწინებული იყო რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის მსახიობის ავტორიტეტი, მაყურებლების ინტერესი მის მიმართ, მისი წლიური შემოსავალი და ჯილდოებისა და პრემიების რაოდენობა. სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის ებრაელები, რომლებიც ებრაელად დაიბადნენ ან შემდეგ ეზიარნენ იუდაიზმს.

რეიტინგში პირველ ადგილს იკავებს — **დენიელ მაიკლ ბლეიკ დეი-ლიუისი**, ინგლისელი მსახიობი, რომელიც ორჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის“ ნომინაციაზე მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის. დენ-ლიუისი დაიბადა ლონდონში, ებრაულ ოჯახში ირლანდიული და ბალტიისპირული ფესვებით. გადაღებულია სურათებში: „ჩემი მარცხენა ფეხი“, „მამის სახელით“, „ნიუ-იორკის ბანდები“, „ნავთობი“, „მდგომარეობის აუტანელი სიმსუბუქე“ და სხვა.

სიაში მეორე ადგილი **დასტინ ლი ჰოფმანს** უკავია, რომელსაც მიღებული აქვს ორი „ოსკარი“, ხუთი „ოქროს გლობუსი“ და ბრიტანული კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების კინოაკადემიის ორი ჯილდო. გადაღებულია ფილმებში: „გამოსაშვები“, „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, „ტუსი“, „მარათონელი“, „ფაკერების გაცნობა“, „წვიმის კაცი“ და სხვ. ჰოფმანის მშობლები რუსეთიდან წასული ემიგრანტები არიან.

სიაში მესამეა — **ვუდი ალენი (ალენ სტიუარტ კონიგსბერგი)**, რომელიც არა მარტო რეჟისორი, მსახიობი, პროდიუსერი, პრემია „ოსკარის“ სამგზის მფლობელი, არამედ კინემატოგრაფში „ებრაული თემატიკის“ დამკვიდრების ავტორიცაა. მის ინტელექტუალურ კომედიებში ბევრი ხუმრობაა მის ებრაულ წარმომავლობასთან, ხასიათთან და გარეგნობასთან დაკავშირებით. ალენის ბებია და ბაბუა ემიგრანტები იყვნენ, საუბრობდნენ ებრაულ და გერმანულ ენებზე. დედა საოჯახო საკონდიტრო მაღაზიაში ბუღალტრად მუშაობდა, მამა-მისი კი ოფიციანტისა და იუველირის პროფესიებს ფლობდა.

მეოთხე ადგილზეა — **ედრიან ბროუდი**. ბროუდის დედა ფოტოჟურნალისტიკით იყო დაკავებული და უნგრელ არისტოკრატ-კათოლიკე და ჩეხი ებრაელის ოჯახში დაიბადა. ედრიანი ბავშვობიდან მსახიობობაზე ოცნებობდა, მსოფლიო აღიარება კი 2002 წელს რომან პოლანსკის ფილმში „პიანისტი“ მონაწილეობის შემდეგ მოიპოვა, სადაც ახალგაზრდა მსახიობმა პოლონელი ებრაელი მუსიკოსის — ვლადისლავ შპილმანის როლი შეასრულა. ბროუდი 40-ზე მეტ სურათშია გადაღებული. ლაურეატია პრემიებისა — „ოსკარი“ და „ცეზარი“.

მეხუთე ადგილზეა — ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი — **ჰარისონ ფორდი**. მიღებული აქვს მონაწილეობა 60-ზე მეტ სურათში, მათ შორისაა: „მკვლელობის დროა“, „ზაბრისკი-პოინტი“, „ამერიკული გრაფიტები“, „გმირი“, „ვარსკვლავური ომები“, „აპოკალიფსი დღეს“, „გაქცეული“, „საბრინა“, „სიცრუის აბლაბუდა“, „ჰოლივუდელი პოლიციელები“, „გადასასვლელი“ და მრავალი სხვა. მსახიობის ბებია, ანა ლიფშუცი, აშშ-ში რუსეთიდან 1906 წელს გაემგზავრა. 11 წლის შემდეგ იგი ცოლად გაჰყვა ბელორუსიელ ებრაელს – ჰარი ინდელმანს. მათი ქალიშვილი დორა კი მომავალი ჰოლივუდის ვარკვლავის დედა გახლავთ.

მეექვსე ადგილი ეკუთვნის **რიჩარდ სტივენ დრეიფუსს**. რიჩარდ სტივენი დაიბადა ბრუკლინში, რესტორატორის და აქტიური პაციფისტის ოჯახში. დრეიფუსის ნინაპრები გერმანიაში, ქალაქ ტრირის ებრაულ სათემოს ეკუთვნოდნენ. მსახიობმა „ოსკარი“ 29 წლის ასაკში მიიღო და ისტორიაში ამ ჯილდოს მფლობელი ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობის კარიერის პიკი 1977 წელს იყო, ჰოლივუდში ახლაც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მსახიობად ითვლება.

რეიტინგის მეშვიდე ადგილი უჭირავს 94 წლის **კირკ დუგლასს (ისერ გერშელის-ძე დანიელოვიჩი)**, რომელიც ასევე ძალიან ცნობილი მსახიობის მაიკლ დუგლასის მამაა. კირკი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომის დროს საზღვაო ფლოტში მსახურობდა, 1946 წელს კი ჰოლივუდში გადავიდა და თავის პირველ ფილმში მიიღო მონაწილეობა. მსახიობის მთლიანი ფილმოგრაფია 82 სურათს ითვლის. კირკ დუგლასი ითვლება ავტორად ავტობიოგრაფიული წიგნისა —„ Let’s face it: 90 years of living, loving, and learning“ .

სიაში მერვე ადგილზეა — **ჰარვი კეიტელი**, იგი ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში პოლონეთიდან ემიგრირებული ებრაელების ოჯახში დაიბადა. მსახურობდა საზღვაო ფეხოსნებში ლიბანში. სწავლობდა ლი სტრასბერგის და სტელი ადლერის სამსახიობო სტუდიაში. წარმატება კი მარტინ სკორსეზესთან თანამშრომლობამ მოუტანა. ჰარვი კეიტელი გადაღებულია მის ფილმებში: „ვინ აკაკუნებს ჩემს კარზე?“, „ქრისტეს ბოლო წამება“, „ალისა აქ აღარ ცხოვრობს“, „ტაქსისტი“, „ბოროტი ქუჩები“ და სხვ.

მეცხრე ადგილზე გავიდა **ჯინ უაილდერი (ჯერომ ზილბერმანი)**. უაილდერი დაიბადა მილუოკში, ვისკონსინში, რუსეთიდან ემიგრირებულთა ოჯახში. კარიერა სამოყვარულო თეატრში თამაშით დაიწყო, ეკრანებზე მისი დებიუტი კი იყო ფილმში „ბონი და კლაიდი“ (1967). პოპულარული კი მელ ბრუქსის კომედიაში — „პროდიუსერები“ თამაშის შემდეგ გახდა.

სიის ბოლო ნომერია „ახალგაზრდა ჯადოქარი ჰარი პოტერი“ — 22 წლის **დენიელ ჯეიკობ რედკლიფი**. დენიელი დაიბადა ფულჰემში, ლონდონის დასავლეთ ნაწილში, კასტინგების აგენტის, ებრაელი — მარსი ჯანი გრეშემ ჯეიკობსონის და ჩრდილოეთ ირლანდიიდან წამოსული ლიტერატურული აგენტის, პროტესტანტის — ალან ჯორჯ დეკლიფის, ოჯახში. ახლანდელ დროში დენიელის მდგომარეობა დაახლოებით 40 მილიონ ფუნტ სტერლინგადაა შეფასებული.

ვინ მართავს თეთრი სახლის აპარატს?

თეთრი სახლის აპარატს მორწმუნე ებრაელი, ჯეიკობ ლიუ ჩაუდგება სათავეში.

წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე. თეთრი სახლის აპარატის ხელმძღვანელმა უილიამ დეილიმ ბარაქ ობამას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ აცნობა. დეილი ობამას აპარატს ერთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, 2010 წელს მან რამ ემანუელი შეცვალა.

63 წლის დეილი — ჩიკაგოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელია. კლინტონის ადმინისტრაციაში მას ვაჭრობის მინისტრის პოსტი ეკავა. როგორც „New York Times“ წერს, იგი უნდა დახმარებოდა ობამას რესპუბლიკელებთან ურთიერთობის დალაგებაში და მოეპოვებინა კონგრესმენების მხარდაჭერა პრეზიდენტის ეკონომიურ პროგრამასთან დაკავშირებით.

როგორც „San Francisco Chronicle“ აღნიშნავს, მისი გადადგომა არა მარტო ამ მისიის ჩაშლის საფასური გახდა. იგი აღნიშნავს, რომ არჩევნების წინ ამერიკის ადმინისტრაციამ უარი თქვა რესპუბლიკელებთან და მსხვილ კაპიტალთან თანამშრომლობაზე, რასთანაც დაკავშირებული იყო დეილი — ამერიკის არისტოკრატიის წარმომადგენელი, ჩიკაგოს მერების შვილი და ძმა.

დეილის შეცვლის ჯეიკობ ლიუ, რომელიც ამჟამად თეთრი სახლის ადმინისტრაციულ საბიუჯეტო სფეროს მეთაურობს, წერს NEWSru.co.il. თუ ადმინისტრაციის წინა ხელმძღვანელები ჩიკაგოდან — პრეზიდენტ ობამას მშობლიური ქალაქიდან იყვნენ, ლიუ ნიუ-იორკიდანაა. ამავე დროს, მას გააჩნია ობშერული კავშირები ამერიკის პოლიტიკის ყველა სფეროში.

56 წლის ლიუ — მორწმუნე ებრაელია, იგი დაიბადა პოლონეთიდან ლტოლვილების ოჯახში. იყო პრეზიდენტ კლინტონის გარემოცვაში და დიდი ინვესტორი კომპანიების ხელმძღვანელობაში. ნაცნობების აზრით, მას არ უყვარს პირველ პლანზე გამოსვლა, მაგრამ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების არ ეშინია.

„Wall Street Journal“ ხაზს უსვამს აპარატის ახალი ხელმძღვანელის ცოდნას, დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიის კონკრეტულ პოლიტიკაში გარდაქმნის საკითხში. გამოცემა ასევე ლიუს ერთ-ერთი ასისტენტის ციტირებას აკეთებს, რომლის სიტყვითაც მისი ბოსი წესებს იცავს, თუმცა როცა საჭიროა შაბათობითაც მუშაობს. ბევრის აზრით, ახალი ხელმძღვანელისთვის მთავარი გამოცდა, ადმინისტრაციის შიგნით არსებული უთანხმოების მოგვარება იქნება. ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი პირველ ლედისთან — მიშელ ობამასთან, რომელსაც თავის მეუღლეზე უდიდესი ზეგავლენა აქვს.

აღვნიშნავთ, რომ ლიუ არ არის პირველი ებრაელი, რომელიც ობამას ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობას იკავებს. აპარატის პირველი მეთაური რაბ ემანუელი ისრაელიდან წამოსულ ოჯახში დაიბადა. იმის მიუხედავად, რომ იგი საკუთარ თავს ებრაული სახელმწიფოს მეგობრად ასახელებდა, ნეთანიაჰუს მმართველობასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

თეთრი სახლის აპარატის ახალი ხელმძღვანელი ისრაელის ფინანსთა მინისტრის — იუვალ შტაინიცის ახლო მეგობარია. ისინი ხშირად ურთიერთობენ ტელეფონით და ისრაელელი პოლიტიკოსი ვაშინგტონში ჩამოსვლის შემთხვევაში მას ყოველთვის ნახულობს. ასე რომ, ლიუს შეუძლია პრეზიდენტს დაეხმაროს მოაგვაროს ურთიერთობა როგორც ამერიკელ ებრაელებთან, ასევე ისრაელთანაც.

„ჩვენ მთელი გულით ვეუბნებით ბ-ნ ლიუს „მაზალ ტოვ“. ეს ისტორიული დანიშნულებაა და ვიმედოვნებთ, რომ იგი კარგს მოუტანს პრეზიდენტსა და აშშ-ს ხალხს“, — აცხადებენ ებრაული კავშირის ხელმძღვანელები — სტივენ ბურგი და ნათან დიამანტი.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003